ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№ 81
(11 230)

13 – 15 ოქტომბერი, 1998 წ.

ფასი 30 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

წუხელ, ელისტაში დასრულდა საჭადრაკო ოლიმპიადა. საქართველოს ქალთა ნაკრებმა ბოლო ტურში იუგოსლაველებს სძლია 2:1 და მესამე ადგილზე გავიდა. ჩვენმა ვაჟებმა კი აზერბაიჯანელებს მოუგეს 4:0 და საბოლოოდ V-VII ადგილს იყოფენ.

იხ. მე-6 გვ.



კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## ვერის ბაღში III ტურის მატჩები გაიმართა

**მაკაბი – შევარდენი 64:68**

ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. „მაკაბიში" ველავ შედეგიანი თამაშით გამოირჩეოდნენ ვეტერანები ფერიაშვილი და ტალაბაძე, რაც შეეხება „შევარდენს", ეს გუნდი უფრო კოლექტიური თამაშის მიმდევარია. გივი კოშკელოვის ხელქვეითებმა დიდი მონდომებით ჩაატარეს მატჩის დასკვნითი წუთები, რამაც გუნდს 3 ქულა მოუპოვა.

**სდასუ – ვითა 75:75 დ.დ. 81-93**

ამ მატჩში კინაღამ სენსაციის მოწმენი გავხდით – შარშანდელმა ბრინჯაოს პრიზიორმა, რომელიც წელს აუტსაიდერთა რიგებშია, კინაღამ ქვეყნის ჩემპიონი დაამარცხა. რომელმაც წელს ბევრი მოთამაშე მოისაკლისა) თანდათან „პოულობს" თამაშს: გუნდს რომ გრძელი სათადარიგოთა სკამი ჰქონოდა, დაამარცხებდა მეტოქეს, მაგრამ ასე არ მოხდა – დამატებით დროში ჩემპიონმა ძალები მოიკრიბა და არაქათგამოცლილი სტუდენტები აშკარად დაჯაბნა.

**დინამო – კოლხა 79:77**

აქაც დაძაბული ბრძოლა გაიმართა. ახალგაზრდა კოლხებმა დამაჯერებლად მოიგეს პირველი ტაიმი, ხოლო მეორე ნახევრის დასაწყისში, როცა ანგარიში უკვე 43:27 გახდა, დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა სწორი ტაქტიკური გადაადგილება მოახდინა. „დინამომ" პრესინგს მიმართა, გამოუცდელმა კოლხებმა ამ წნეხს ვერ გაუძლეს და თანდათან დათმეს ასე წვალებით მოპოვებული უპირატესობა. თბილისელთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო მათმა გამთამაშებელმა გიორგი ნიკოლაძემ. ამ 187 სანტიმეტრი სიმაღლის 17 წლის ჭაბუკმა 33 ქულა დააგროვა, მათ, შორის მეორე ტაიმში 5 ზუსტი სამქულიანი სროლა განახორციელა.

**თსუ – სტუ 85:93**

მაყურებელი განსაკუთრებული ინტერესით მოელოდა ამ ორთაბრძოლას. მოლოდინი გაუმართლა – მოედანზე უშელავათო თამაში გაჩაღდა. თავდაპირველად ქულა ქულას მისდევდა. ყველაფერი მაშინ გადაწყდა, როცა 5 საჯარიმოს გამო თსუ-ს ლიდერი გოჩა წოწელია დააკლდა (სხვათა შორის, სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის მესვეურებმა რამდენიმეჯერ პროტესტი განაცხადეს, მათი აზრით, მიკერძოებული მსაჯობის გამო). მისი სრულფასოვანი შეცვლა ვერ მოიძებნა. ამავე დროს სტუ-ს მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა ბრძოლაში ჩართო სდასუ-დან გადმოყვანილები ოთიურიძე და ჩერქეზიშვილი – ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა წარმატების მოპოვებაში და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა სატურნირო ცხრილში პირველობა შეინარჩუნა.

**ვერდიქტის მოლოდინში**

გახსოვთ, ალბათ, წინა ტურში „ვითა" „შევარდენთან" არ გამოცხადდა სათამაშოდ, რის გამოც წაგება ჩაეთვალა ანგარიშით 0:20, ჩაეწერა 0 ქულა და 2000 ლარით დაჯარიმდა. საქართველოს 6-გზის ჩემპიონმა კალათბურთის ფედერაციის ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. აპელაცია დღეს, 13 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე განიხილება და ვერდიქტსაც „ლელოს" შემდეგ ნომერში შეგატყობინებთ.

მცხეთა მთიანეთის სამხარეო სპორტკომიტეტი და მცხეთის ნიჩბოსნობის სასპორტო სკოლა დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავენ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს *თენგიზ შალიბაშვილს.*



## განაჩენს დღეს შევიტყობთ

დღეს, 13 ოქტომბერს დიდუბის რაიონის სასამართლოში დასრულდება საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" მიერ საპარტნიორო ფონდიდან 28 მილიონი ლარის არამიზნობრივად დახარჯვის საქმის განხილვა და მოსამართლე მიხეილ კოტრიკაძე გამოიტანს განაჩენს. ბოლოს და ბოლოს გაირკვევა მართლაც იყო დანაშაულებრივი ქმედება თუ ყოველივე შეთითხნილია სფფ-ს საარჩევნო მარათონიდან მერაბ ჟორდანიას ჩამოცილების მიზნით?

## საქართველოს თასი



**1/16 ფინალი**

ლოკომოტივი (თბილისი) — ივერია (ხაშური) 4-0,
სიონი (ბოლნისი) — შსს აკადემია (თბილისი) 3-1,
გორდა (რუსთავი) — ყვარელი 1-0,
მერანი-91 (თბილისი) — ზოოვეტი (თბილისი) 8-1,
არსენალი (თბილისი) — ი[illegible]ია (ქარელი) 4-0,
ვიტ-ჯორჯია (თბილისი) — [illegible]გვეთი (ზესტაფონი) 4-0,
დილა (გორი) — რიონი (ქუთაისი) 4-0,
სამგურალი (წყალტუბო) — იბერია-2 (სამტრედია) 1-0,
იბერია (სამტრედია) — სამეგრელო (ჩხოროწყუ) 1-1,
ოდიში (ზუგდიდი) — ენგური (განმუხური) 1-1,
გურია (ლანჩხუთი) — კოლეჯი (ბათუმი) — მასპინძელთა გუნდის ფეხბურთელები ხელფასების მიუღებლობის გამო სათამაშოდ არ გამოვიდნენ. „გურიას" ჩაეთვალა წაგება 0-3 და მოიხსნა თასის გათამაშებიდან.



## პინგისი დევენპორტმა დაამხო

*მაშ ასე, ამერიდან ქალთა ჩოგბურთს ახალი, რიგით მერვე დედოფალი ჰყავს – 22 წლის კალიფორნიელი ლინდსი დევენპორტი. ეს ის ქალიშვილია, რომელმაც წელს დიდი გარჯის შედეგად 13 კილო დაიკლო და კარიერაში პირველად გაიმარჯვა დიდი სლემის ტურნირში – ამერიკის ღია პირველობაზე. გუშინდლიდან, მას შემდეგ რაც დევენპორტმა ფილდერშტადტში (გერმანია) „პორშეს დიდ პრიზზე" იმარჯვა, იგი ქალთა რეიტინგში მყარად მოექცა პირველ ადგილზე.*



EURO-2000

იხ. მე-3 გვ.

**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია აცხადებს კონკურსს ბიომექანიკის კათედრის გამგის თანამდებობის (0,5 განაკვეთი — მეცნიერებათა დოქტორი) თანამდებობის დასაკავებლად. კონკურსის ვადაა ორი კვირა დღიდან გამოცხადებისა.**

UEFA EURO 2000

## არატრადიციული საფეხბურთო ქვეყანა თუ გვამარცხებს, სხვები რას გვიზამენ?

**„ლელოს" მოსკოველი კორესპონდენტი არკადი სმირნოვი რიგიდან**

ლატვიის დედაქალაქში 9 ოქტომბერს ნაშუადღევს, ამ ქვეყნისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე ჩავედი და პირდაპირ უნივერსიტეტის სტადიონისკენ გავეშურე. კი, ვიცოდი, რომ ბალტიისპირეთში ფეხბურთი ისეთი პოპულარული არაა, როგორც კალათბურთი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლატვიის ეროვნულმა ნაკრებმა სტუმრად თვით ნორვეგიელები დაამარცხა, მეგონა, ტრადიცია დაირღვეოდა და რიგაში ნამდვილი საფეხბურთო ბუმი დამხვდებოდა.

იმედები გამიცრუვდა — სტუდენტურ სტადიონზე მხოლოდ ათასიოდე გულშემატკივარს მოეყარა თავი, ისიც დაახლოებით ნახევარი ქართული დიასპორის წარმომადგენელი იყო. ამთავითვე ვიტყვი, რომ ლატვიელები მეტად სკეპტიკურად უყურებდნენ ამ მატჩში თავიანთი ნაკრების შანსებს: მიზეზთა გამო გუნდს ერთბაშად რამდენიმე ძირითადმა მოთამაშემ უმუხთლა — 3 გამოძახებულმა ჩამოსვლა იუარა, ერთის ასავალ-დასავალი ვერსად მიაკვლიეს, ორი ტრავმირებული შეხვედრას ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. ამიტომ იყო ნაკრების მწვრთნელს იური ანდრეევს თავისიანების წარმატებისა არც სჯეროდა. ასე, რუსულენოვანი „რიჟსკიე ვესტი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ანდრეევი ლატვიური გუნდის შანსებს აფასებდა 30/70-ზე მეტოქის სასარგებლოდ.

მოვლენებმა დაგვარწმუნა, რომ მწვრთნელი არ თვალთმაქცობდა — მას მართლაც ხუხულა ნაკრები ჰყოლია და რაოდენ დასანანია, რომ საქართველოს ნაკრებს ასე გაუჭირდა მასპინძელთა ძლევა. ალბათ, ზებუნებრივი ძალები დაგვეხმარა: პირწმინდად წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ, მეორეში იღბალმა გადმოგვხედა.

არ შევუდგები მატჩის პერიპეტიების აღწერას. ვფიქრობ, მისი მსვლელობის შესახებ შეხვედრის შემდეგ აღებული ბლიც-ინტერვიუები მეტყველებს.

**იური ანდრეევი:** „პირველი 45 წუთი აშკარად ჩვენი იყო, ჩემდა გასაკვირად, ბიჭები სამაგალითოდ გაისარჯნენ და ანგარიში წაიყვანეს. მეორე ნახევარში თავდამსხმელები დაიღალნენ, მათი შემცვლელები კი მიზეზთა გამო არ მყავდა — ლატვიის ფეხბურთის ფედერაციამ არაფერი ილონა გუნდის დასაკომპლექტებლად. ისე, 1-0 რომ წავიყვანეთ, 5-6 მომენტი კიდევ გვქონდა და ერთი გოლიც გვყოფნიდა, ქართველები ამის შემდეგ თამაშს ვერ შემოაბრუნებდნენ..."

**ოთარ გაბელია:** „შედეგით კმაყოფილი ვარ, გუნდის თამაშით — არა. საქმეს აძნელებდა ის გარემოება, რომ ალბანეთთან მარცხის შემდეგ სამი ქულა უნდა აგვეღო, ვინ ჩივის ამ დროს თამაშის ხარისხს! ორი განსხვავებული ტაიმი ვითამაშეთ. პირველი რომ პირწმინდად წავაგეთ, შესვენებაზე თამაშში საჭირო კორექტივები შევიტანეთ, რისკზე წავედით და დაცვის ხარჯზე შეტევის ხაზი გავაძლიერეთ, საბედნიეროდ, გაგვიმართლა. საბერძნეთში უფრო ძნელი მატჩი გველის".

დიახ, ასეთი თამაშით საბერძნეთში ჩვენი ახალგაზრდები ფონს ვერ გავლენ, ეს აშკარაა.

**ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ● მეორე შესარჩევი ჯგუფი**

**ლატვია — საქართველო — 1-2**

*ლატვია:* პავლოვი, კვაშნინი, ზირნისი, ილოვაისკიხი, ლიდაკსი, რინკუსი, ნოვიკოვი, ნალვაიკო, რებენისი, პელცისი, ვერპაკოვსკისი.

*საქართველო:* სოლოლაშვილი, რევაზიშვილი, ჰანკოტაძე, კვარაცხელია, წერეთელი, დარასელია, ჩომახიძე (ყიფიანი, 61), მუჯირი, ალექსიძე (ჩხეტიანი, 89), წიტაიშვილი (გ. შენგელია, 78), აშვეთია.

*გოლები:* 1-0 ვერპაკოვსკისი (15), 1-1 ალექსიძე (76), 1-2 აშვეთია (88).

*გააფრთხილეს:* კვარაცხელია, წერეთელი, წიტაიშვილი, ლიდაკსი.

მსაჯი: ს. რადულოვიჩი (იუგოსლავია).

**ახლა კი მთავარზე, ეროვნული გუნდების მატჩზე. ჯერ ამ შეხვედრის ტექნიკური შედეგები:**

**10 ოქტომბერი. რიგა. „დაუგავას" სტადიონი.**

**ლატვია — საქართველო 1-0**

*ლატვია:* კარავაევი, ლუკაშევიჩსი, ასტაფიევი (ისაკოვი, 74), ზემლინსკი, ლობანოვი, შარანდო, ივანოვსი, ბლეიდელისი (დიიზანსი, 50), პახარსი

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლაჟის ფრენბურთი | საქართველოს ჩემპიონატი

# ახალი ოლიმპიური სახეობა გაგვიშინაურდა

პლაჟის ფრენბურთი („ლელო" შეეცადა დაემკვიდრებინა ტერმინი პლაჟბურთი, მაგრამ გავიზიარეთ სპეციალისტების შენიშვნა იმის თაობაზე, რომ არის პლაჟის ფეხბურთიც და ა.შ.), ოლიმპიური სახეობის საკადრისად ალბათ ჯერ არ არის ჩვენში ფეხმოკიდებული, მაგრამ არც სამდურავი ითქმის: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში და დიდ ჯიხაიშში ქალთა და ვაჟთა რამდენიმე ჯგუფი მუშაობს და მათგან 8 უძლიერესი ამ დღეებში ბათუმში შეიკრიბა საქართველოს II ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. ასპარეზობას უამრავი მაყურებელი დაესწრო და ჩინებულადაც იყო ორგანიზებული. ქალთა შორის ფინალში ნინო მღებრიშვილ — ნინო მეტრეველის გუნდმა ორ პარტიაში სძლია ასევე თბილისელების ლელა ჩუგუშვილ — მარინა ჩირინაშვილის წყვილს (12:9, 12:11) მესამე ადგილზე გავიდნენ ბათუმელები (თამარ ლატარია — ანა ბუეზინსკაია).

ვაჟებშიც თბილისელთა გუნდებს შორის გადაწყდა ჩემპიონის ბედი. ირაკლი ჩაჩუა — სულხან ახვლედიანის გუნდმა სამ პარტიაში დაამარცხა გენადი გორძაძე — პაატა ულუმბაშვილის დუეტი (12:6, 5:12, 15:13). მესამე პრიზიორი გახდა თბილისელთა კიდევ ერთი გუნდი, რომელშიაც თამაშობდნენ რომან გავაშელი და გიორგი ხუროშვილი.

**ბივი ასანიძე,**
**ბათუმი**




*საქართველოს ჩემპიონები: ნინო მღებრიშვილი (მარცხნივ) და ნინო მეტრეველი; ირაკლი ჩაჩუა (მარცხნივ) და სულხან ახვლედიანი*

ლახტის წრეში

## დედაქალაქში საძოვარი?

ორთაჭალაში ცნობილ კულტსამეურნეო მაღაზიის ტერიტორიაზე თავის დროზე შესანიშნავი სპორტული მოედანიც გაშენდა, რომელიც მიკრორაიონის დასახლების მოზარდების და არა მხოლოდ მათი ფიზიკური წრთობის ობიექტად იქცა. არეულობის წლებში იქვე მაცხოვრებელმა ორმა ოჯახმა მიიხედ-მოიხედა და თვალი ამ მოედანს დაადგა — კაი გვარიანი ფართობი მიითვისა და, საერთოდ, საძოვრად გამოიყენა მთელი არენა.

ახლა, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, აქ 180 ბავშვი მეცადინეობს რეგულარულად ფეხბურთში და მწვრთნელები მუდმივ კონფლიქტში არიან მაცხოვრებლებთან. პარადოქსია — ზოგი კოლექტიურ წერილს წერს, რომ მოედანი არა აქვთ, ან ვიღაცამ მიითვისა, აქ კი საერთო წერილი იმაზე შეუდგენიათ მოსახლეობას — სპორტული მოედანი არ გვინდა, საძოვარი გვირჩევნიაო. თუმცა, როგორც ამბობენ, ხელმოწერები ყალბია და მხოლოდ ორი ოჯახი ყოფილა სპორტის მოწინააღმდეგე, ის ორი ოჯახი, რომლებიც თვითნებურად შეიჭრნენ მოედანში. არადა, ყოფილი კულტსამეურნეო მაღაზია ფირმა „ფოლცვაგენს" შეუძენია და ეს უცხოური ფირმა მზადაა კეთილმოაწყოს მოედანი, მისცეს მას თანამედროვე იერი. დავძენთ, რომ ამ მოედანზე ბევრი პერსპექტიული ფეხბურთელი აღიზარდა, მათ შორის, გია ჯიშკარიანი, აქ დასტატებულებიდან 8 ახალგაზრდა თამაშობს „ლოკომოტივში", არაერთი ირიცხება ჭაბუკთა ნაკრებში.

აი, ასეთი სასპარეზოს გადაქცევა სურთ პირუტყვის საძოვრად. მეცხოველეობა კარგი რამაა, მაგრამ დედაქალაქი და საძოვარი?

მთელი ცხოვრება სპორტში

# გვარი შალიბაშვილი ამშვენებს ქართულ სპორტს და ასე იქნება მომავალშიც



სპორტთან ურთიერთობის ხანგრძლივმა კავშირმა ბევრ საინტერესო და სახელოვან ადამიანებთან დაამეგობრა. ერთ-ერთი მათგანია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მოტოსპორტში, სპორტის ოსტატი ამავე სახეობაში და ბაიდარებით ნიჩბოსნობაში, მრავალი სპორტული ნადავლის მფლობელი მცხეთის მკვიდრი თენგიზ შალიბაშვილი.

როგორც მცხეთელი ბიჭების უმრავლესობამ, მანაც თავდაპირველად ნიჩბოსნობაში აიდგა ფეხი. 1949 წლიდან მოყოლებული, რვა წლიწადში 22-ჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი ერთ და ორ-ადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში. იგი არასოდეს კმაყოფილდებოდა მიღწეულით და 1956 წელს სსრ კავშირის ხალხთა I სპარტაკიადაზეც მაღალი შედეგები აჩვენა. შემდეგ საქართველოს ნიჩბოსნობის ნაკრების მწვრთნელად იმუშავა. სწორედ მან, პირველმა ჩამოაყალიბა სანიჩბოსნო ჯგუფები ქუთაისსა და დუშეთში.

როგორც უნივერსალური სპორტსმენი, ერთხანს, კოშკურიდან წყალში ხტომამაც გაიტაცა. მაგრამ ჭეშმარიტად ფანატიზმად ექცა მოტოსპორტი, რასაც გაცილებით მეტი ვაჟკაცობა, გამბედაობა, მოქნილობა და საზრიანობა სჭირდება. ყველა ეს თვისება უფლისაგან მომადლებული ჰქონდა და შედეგმაც არ დააყოვნა — 1954 წლიდან საქართველოს პირველობებზე 12-ჯერ გახდა ჩემპიონი. გაიმარჯვა აგრეთვე მოლდავეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადებში 1957, 1960 და 1969 წლებში; 1972 წელს ნაკრების მწვრთნელადაც კი მიიწვიეს. აქაც, მოტოსპორტში, მისმა აღზრდილებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საკავშირო არენაზე. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. თენგიზ შალიბაშვილის სპორტულ ბიოგრაფიაში მაინც გამორჩეული ადგილი უკავია კავკასიონის უღელტეხილის დალაშქვრას მოტოციკლეტით. გული სულ მაღალი მწვერვალებისკენ უწევდა და 1967 წლის აგვისტოში, ნალჩიკელ ბერბერაშვილთან და მოსკოველ რომანოვთან მან გადალახა მთავარი კავკასიონის ძნელად დასაძლევი უღელტეხილი (ზღვის დონიდან 3,200 მ). წარმატებით განვლო 30 კმ-იანი ჯერ ფეხდაუდგმელი კლდოვანი მონაკვეთები, ბობოქარი მდინარეები, განსაკუთრებით ჭირდა მყინვარზე მოძრაობა, მაგრამ მოტოციკლეტისტებმა, რომლებმაც იალბუზის ძირში აიღეს სტარტი, ყველა წინაღობა წარმატებით დაძლიეს და მშვიდობით დაეშვნენ სვანეთში სოფელ ნაკრასთან. ალბათ საოცრება იყო ის, რაც მან კავკასიონის მწვერვალებიდან სამყაროს თვალის შევლებისას განიცადა.

ბატონ თენგიზის სახელი კიდევ უფრო პოპულარული გახადა მისმა შესანიშნავმა ვაჟმა, კოშკურიდან წყალში მხტომელმა სერგო შალიბაშვილმა, რომელმაც სსრკ თასი სამგზის მოიპოვა, ხოლო ევროპის პირველობაზე მეორე იყო. სერგოს იმედით შეჰყურებდნენ არა მხოლოდ მცხეთელები, არამედ მთელი საქართველო, მაგრამ ეს უნიჭიერესი სპორტსმენი კანადაში ერთ-ერთი ულამაზესი ნახტომის დროს დაიღუპა ტრაგიკულად.

შალიბაშვილების გვარით ჭეშმარიტად ამაყობენ მცხეთელები და იამაყებენ მომავალშიც, რადგან პატარა სერგო და ალექსანდრაც სპორტის დიდ სამყაროს ეზიარებიან.

თენგიზ შალიბაშვილი უკვე 70 წლისაა.

**ბურამ არძიელიძე**
**„ლელოს" საკ, კორესპონდენტი,**
**მცხეთა**

სურათზე: თენგიზ შალიბაშვილი

# რა იყო სპორტის სასახლეში?

ის, რაც 11 ოქტომბერს სპორტის სასახლეში ხდებოდა, კაი ხანს შემორჩება მეხსიერებას. ლამაზი, საინტერესო სპორტული სანახაობა იქით იყოს, რა ხანია სპორტის სასახლეში ამდენ ადამიანს არ მოუყრია თავი. 10 000-კაციანი დარბაზი გაჭედილი იყო. ეგ კი არა, ყველა მსურველს ვერ გასწვდა ბილეთები და შინ ხელმოცარული დაბრუნდა.

პროფესიული ჭიდაობის მსოფლიო ლიგის „რინგსის" ეგიდით გამართული ტურნირების მასპინძლის პატივი მხოლოდ ერთეულ ქვეყნებს ღირსებიათ, ისიც მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებს. „რინგსის" ფუძემდებლები იშვიათად თუ ვინმეს მისცემენ ნებას, რომ ტოკიოს გარდა სადმე ჩატარდეს „რინგსის" შეჯიბრება. მაგრამ საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ექვთიმიშვილმა, რომელიც ჩვენში „რინგსის" ოფიციალური წარმომადგენელია, დიდი წვალების მერე დასტურა იაპონელებს თბილისში ტურნირის გამართვის ნებართვა.

თბილისის სპორტის სასახლეში პროფესიონალი მოჭიდავეები შეუდგნენ საქმეს და 8 ქართველ ათლეტს ამდენივე უცხოელი დაუპირისპირდა.

ტურნირის სადებიუტო ორთაბრძოლა ლევან ჯაფარიძისა და ავსტრალიელ კრისტოფერ პისმანისა იყო. ჯაფარიძე მოჭიდავეა, პირსმანი — ჯიუჯიცუს დიდოსტატი. ამიტომაც ორივე მეტოქეს თავისი კოზირი ჰქონდა. ჭკვიანურად გაისარჯა ლევან ჯაფარიძე, რომ მეტოქეს ახლოს მისვლის საშუალება არ მისცა და ამით მოიგო კიდეც ეს შეხვედრა. თითქმის მთელი 20 წუთის მანძილზე ლევანი გასაქანს არ აძლევდა მოწინააღმდეგეს, ხან ხელიდან დაითრევდა, ხან ფეხიდან, ამასობაში პისმანმა 2 ქულა დაკარგა და ლევანს ეს ეყო კიდეც გასამარჯვებლად.

**თენგიზ თედორაძეს** 10-ჯერ უასპარეზია პროფესიულ ჭიდაობაში და ჯერ შეხვედრა არ წაუგია. გუშინაც იყოჩაღა თენგიზმა შეხვედრის დასაწყისში. მისი მეტოქე რუსი კარატისტი და ძიუდოისტი იური კოჩკინი იყო, რომელსაც თედორაძემ ჭიდაობის ფანდებით თავგზა აუბნია. კოჩკინი მეტად ფრთხილი მოწინააღმდეგე გამოდგა და შორეული დარტყმებით ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას. ამით მიაღწია კიდეც შედეგს და შეხვედრის ბოლოს აღარ აძლევდა თედორაძეს ახლოს მისვლის საშუალებას. სამწუხაროდ, ლამაზად მოჩხუბარი ჩვენებური დამარცხდა, თუმცა, ერთ მომენტში მსაჯმა ვერ შეამჩნია, რომ კოჩკინმა რინგის კიდეს (ბაგირს) ხელით შეეხო. ეს კი რუსისთვის ქულის დაკარგვის ტოლფასი იყო. ეს შეხვედრის დასაწყისში მოხდა. ვინ იცის, ეს რომ შეემჩნია რეფერის, იქნებ ბრძოლაც სხვაგვარად წარმართულიყო.

**ბაქურ გოგიტიძეს** 4 წუთი და 15 წამი დასჭირდა იაპონელი კარატისტის რამეგავა იასუხიტოს დასაჯაბნად. ამ ორთაბრძოლაზე დაწვრილებით, აბა, რა ვთქვა, როცა არაფერია სათქმელი — ბაკურმა მეტოქე იოლად დაჯაბნა და „რინგსის" მსოფლიო რეიტინგისთვის საჭირო ქულები მიითვალა. იასუხიტომ კი ჯენტლმენურად მიულოცა ალალი გამარჯვება გოგიტიძეს.

სამწუხაროდ, ბაკურ გოგიტიძის გამარჯვებით ალტყინება გულშემატკივრებს დიდხანს არ მოუწიათ.

**რამაზ ბუზარიაშვილს** თავისი კოლეგა — ისიც ციმბირელი სამბისტი მიხეილ ილიუხინი შეეპაექრა. რამაზისგან განსხვავებით რუსი სპორტული სამბოს გარდა საბრძოლო სამბოს დიდოსტატია, ასე ვთქვათ, ორგზის სამბისტი. თავიდან უპირატესობა ქართველისა იყო, რომელმაც არაერთხელ დაანარცხა მეტოქე, მაგრამ ხელშესახებ წარმატებას ვერ მიაღწია. დიდი უპირატესობა კაი ხანს არც ერთ მეტოქეს არ ჰქონდა, ვიდრე ილიუხინმა მტკივნეულ ილეთზე არ დაიჭირა რამაზი და არ აიძულა დანებებოდა.

**კობა ტყეშელაშვილს** დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ სპეციალისტები პროფესიულ ჭიდაობაში. ალბათ, ასეც იქნება, რადგან კობა მეტად უშიშარი და ილეთმრავალი მოპაექრეა. მართალია, ამჟამად იგი ვოლკ ხანთან (რუსეთი) დამარცხდა, მაგრამ უნუგეშოდ არ წაუგია. გული და სული ჩადო ბრძოლაში, არაერთხელ გაამწარა ვოლკ ხანი, მაგრამ რუსი ოსტატურად უსხლტებოდა ხელიდან. ეს შეხვედრა ქულა ქულაზე მიდიოდა, ხან კობა სჯობდა, ხან ვოლკ ხანი, ვიდრე კობამ თავისი დაწყებული ილეთის დროს ხელი არ შეატოვა მეტოქეს, რითაც რუსმა ისარგებლა და გაიმარჯვა კიდეც მინიმალური უპირატესობით — 3:2.

**ამირან ბიწაძე** ჰოლანდიელ ჯოპ კასტელს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ბოლო მომენტში რინგსის მესვეურებმა მეტოქე შეუცვალეს ჩვენებურს და ბულგარელი სოფირ დოჩევი გამოაგზავნეს. კასტელი რა დონის სპორტსმენია არ ვიცით, მაგრამ დოჩევმა კი აშკარად ვერ გაუძლო ბიწაძეს. ამირანი კიუ-კუშინ-კაი კარატეს მიმდევარია და მეტოქეს ერთნაირი წარმატებით ურტყამდა ხელებს, ფეხის ტერფებსა და მუხლებს. ბულგარელი მოჭიდავე კი ბიწაძესთან მიახლოებას ცდილობდა, რათა შეებოჭა და მერე მტკივნეული ილეთით ებრძოლა. მაგრამ ამირანმა დოჩევი ახლოს არ მიუშვა, სასურველი დისტანცია ბოლომდე შეინარჩუნა, ბოლოს კი ნოკაუტში გაგზავნა მეტოქე და გაიმარჯვა.

**ზაზა ტყეშელაშვილი** ტიტულოვანი მოჭიდავეა და თავის დროზე, ლევან ებანოიძესთან ერთად, პირველი იყო, რომელიც იაპონიას გაემგზავრა და „რინგსის" წევრი გახდა. სწორედ მან და ლევანმა გაუკვალეს გზა ქართველ ათლეტებს იაპონიისკენ ნოდარ ექვთიმიშვილის შემწეობით. ზაზამ იაპონიაში რინგსში 40-დან 37 ბრძოლა მოიგო, გუშინ კი მარაგს ერთი გამარჯვებაც შემატა რუს სერგეი სუსეროვთან. სუსეროვს სამბოში, რაც ტიტულები არსებობს, ყველაფერი ჰქონდა მოგებული მსოფლიოს ჩემპიონობის ჩათვლით, მაგრამ „გრომ-ზაზამ" — როგორც მას ქომაგები უწოდებენ, სუსეროვს აღარ დააცადა სამბოს ფანდების გახსენება, თავიდანვე ქულა მოიპოვა, მალე კი კისრიდან დაიჭირა მეტოქე და მანამ არ გაუშვა, სანამ სერგეი სუსეროვმა ხრიალი და დანებების ნიშნად რინგზე ხელების ბრახუნი არ დაიწყო. ამ გამარჯვებისათვის ზაზა ტყეშელაშვილს მხოლოდ 2 წუთი დასჭირდა.

**ტარიელ ბიწაძისა** და ჰოლანდიელ ჰანს ნეიმანის შეხვედრა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. თუ დანარჩენმა შვიდმა ქართველმა პროფესიული ჭიდაობის სარეიტინგო ორთაბრძოლები გამართეს, ტარიელ ბიწაძე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრას ატარებდა. ბიწაძე, აქამდე 2-ჯერ ფლობდა კლუბებს შორის მსოფლიოში საუკეთესო პროფესიონალი მოჭიდავის ტიტულს. ახლა კი ამას ნეიმანი ეცილებოდა. შინ მოპოვებულ ჩემპიონობას სხვა ეშხი და ლაზათი აქვს, ეს ტარიელმა სხვაზე ნაკლებად არ იცის და ბრძოლის დასაწყისშივე შეუტია მეტოქეს. ქართველმა ათლეტმა, რომელმაც სპორტული კარიერა ბირთვის მკვრელობით დაიწყო და მერე კარატეს დაეუფლა, გამარჯვების შანსი არ დაუტოვა ევროპის ორგზის ჩემპიონს კარატეში ჰანს ნეიმანს. მთელი შეხვედრის მანძილზე უპირატესობა ჩვენებურისა იყო, 5 წუთში ჯერ ნოკდაუნი „აჰკიდა" ტარიელმა ჰოლანდიელს, მალე კი ნოკაუტში გაუშვა და მესამედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა კლუბებს შორის, თანაც, პროფესიულ ჭიდაობაში თავისი 56-ე გამარჯვებაც იზეიმა. წაგებით კი დღემდე 5 ბრძოლა წაუგია, ისიც კარიერის დასაწყისში.

ტარიელ ბიწაძის გამოსვლით პროფესიონალ მოჭიდავეთა ტურნირი დასრულდა და ჯერი მთავარ მოვლენაზე — პროფესიულ კრივზე მიდგა. **გიორგი კანდელაკს** პროფესიონალებში თავისი მესამე შეხვედრა უნდა გაემართა ბულგარელ იური ივანოვთან ***(კანდელაკსაც მეტოქე ბოლო დღეს კიდევ ერთხელ შეუცვალეს — რედ.).***

ივანოვი 2 წელია, რაც პროფესიონალებში გადავიდა. 14-ჯერ გავიდა რინგზე და 14 გამარჯვება მოიპოვა. გიორგი, ამ საქმეში მასზე შედარებით გამოუცდელია, თუმცა ოსტატობით ბევრ პროფესიონალს რომ არ დაუდებს ტოლს, ამაზე, ისიც მეტყველებს, რომ არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს ჩემპიონმა ლენოქს ლუისმა თავის მემკვიდრედ და შემცვლელად შერაცხა საქვეყნოდ გიორგი კანდელაკი.

ამჯერადაც გაუმართლა კანდელაკმა იმედები ლენოქს ლუისსა და თავის ამერიკელ მენეჯერებს. ეს ბრძოლა წესით ოთხრაუნდიანი იყო, თუმცა, მაყურებელს არ დასცალდა 12-წუთიანი ორთაბრძოლა ეხილა.

თავდაპირველად ივანოვმა შეუტია კანდელაკს, გიორგი ერთხანს თავს იცავდა, მერე, რაუნდის მიწურულს თავადაც შეუტია. ფაქტიურად, პირველი რაუნდი კანდელაკმა მეტოქის ოსტატობის შესწავლას მოანდომა, რათა გაეშიფრა და მერე უფრო თავდაჯერებით ეჩხუბა. მისმა ჩანაფიქრმა გაამართლა, სწორედ ამოიცნო მეტოქის სუსტი მხარეები და მეორე რაუნდი პირველისგან მეტად განსხვავებული გამოდგა. გიორგიმ ამ რაუნდშივე მოითავა საქმე და თავისი მესამე გამარჯვებაც მიითვალა: ორი ტყუპი აპერკოტით ორჯერ დაანოკდაუნა იური ივანოვი, ტექნიკური ნოკაუტით მსაჯებმა კანდელაკს გამარჯვება არგუნეს, ივანოვი კი ლასლასით გაემართა გასახდელისკენ.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ გასულ კვირას სპორტის სასახლეში თავმოყრილი 10 000 გულშემატკივრიდან ნახევარი მაინც კანდელაკის საქომაგოდ იყო მოსული და გიორგიმაც არ გააწბილა ისინი.

ბოლოს ვიტყვით, რომ მსგავსი ტურნირი აქამდე ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ ქვეყანაში არ გამართულა.

**მ. ფუფუნავა**

**რედაქციისაგან: რა იყო დღეს სპორტის სასახლეში, გაოცებული ეკითხებოდნენ ერთმანეთს გულშემატკივრების დიდი ნაწილი. რა დასამალია, ზოგიერთი შერკინება მართლაც ტოვებდა შოუს შთაბეჭდილებას. იქნებ მოპაექრეთა მაღალმა ოსტატობამ აცდუნა გულშემატკივარი, იქნებ ჯერ მაყურებელი ვერ გათვითცნობიერებულა ნიუანსებში. ვფიქრობთ, კითხვაზე თუ „რა იყო კვირას სპორტის სასახლეში" უტყუარ პასუხს დრო გასცემს.**

# არატრადიციული საფეხბურთო ქვეყანა თუ გვამარცხებს, სხვები რას გვიზამენ?

([illegible])

(ბულღარსი, 88), ბაბიჩევი, შტოლცერსი.

საქართველო: გვარამაძე, შეყილაძე, კალაძე, ნემსაძე, კობიაშვილი, გახოკიძე (დემეტრაძე, 60), ჟღენტი, ჯამარაული, ქეცბაია, ქინქლაძე შ. არველაძე.

გოლი: პახარსი (2).

გაფრთხილება: ჟღენტი, ნემსაძე.

მსაჯი: კონსტანტინ ზოტა (რუმინეთი).

აბა, რა კომენტარი უნდა გავუკეთო პირწმინდად წაგებულ მატჩს? 93 წუთის განმავლობაში (მსაჯმა 3 წუთი დაამატა ძირითად დროს) ჩვენმა ნაკრებმა ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად კარავაევის კართან ვერც ერთი (?!) საგოლე მომენტი ვერ შექმნა. ლატვიელთა წარმატებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რევაზ ძოძუაშვილის გამჭრიახობამ — მან შეგნებულად დაუთმო მინდვრის სივრცე ქართველებს და გაძლიერებული დაცვით ხვდებოდა მათ შეტევებს, ამასთან, ჩაუვარდებოდათ თუ არა ბურთი, ლატვიელები სწრაფ კონტრშეტევებს აორგანიზებდნენ.

ასეთმა ტაქტიკურმა სქემამ (5+5) და მასპინძელთა მწვრთნელის მითითებების შესრულებამ ნაყოფი გამოიღო — ლატვიელები მეორე შესარჩევი ჯგუფის ლიდერები გახდნენ...

დაიწყო თუ არა მატჩი, მასპინძელთა შეტევითი ხაზის მოთამაშეები გვარამაძის კარისკენ გაიჭრნენ. ქართველებმა ბურთი კუთხურზე მოიგერიეს. რამდენიმე წამში მეორე კუთხური დაინიშნა, ახლა საპირისპირო — მარჯვენა ფლანგიდან. პახარსის ჩახვეული ჩამოწოდება, ბურთმა გაოგნებულ გვარამაძეს თავზე გადაუქროლა და კარში აღმოჩნდა. ასეთ დასაწყისს ქართველი ფეხბურთელები არ ელოდნენ, ისინი დაბნეულები ჩანდნენ. ლატვიელები შეეცადნენ უპირატესობა გაეზარდათ — პახარსის დარტყმა ძლივს გააუვნებელყო გვარამაძემ, აქვე ბაბიჩევსაც გაუცუდდა კიდევ ერთი საგოლე მომენტი. მხოლოდ ამის შემდეგ გააქტიურდნენ სტუმრები. ისინი დიდხანს აკონტროლებდნენ ბურთს, 4-5 პასით ძლივს გადაჰქონდათ იგი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნამდე, მერე კი არ იცოდნენ რა ექნათ, როგორ გაერღვიათ ლატვიელთა ეშელონირებული დაცვა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველები შეტევაში ისე უჩიგროდ გაისარჯნენ, ერთი დასამახსოვრებელი მომენტიც კი ვერ შექმნეს. ასეთი თამაშით გვინდა ევრო-2000-ის ფინალურ ტურნირში გასვლა?

მარცხის მიზეზებზე, ვფიქრობ, ბევრი დაიწერება, ნაკრების თამაშის ანალიზი ცივი გონებით უნდა მოხდეს, ახლა ამის ნამდვილად არ არის, მით უმეტეს 14-ში ჩვენს ათენში უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოუწევთ. ჩვენ გაუცემთ მხოლოდ ფაქტი — **დღეს ჩვენ არ გვყავს გუნდი, ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი. რატომ მოხდა, რომ ასე მოუმზადებლები შევხვდით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს — აი უმთავრესი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გავცეთ.**

UEFA EURO 2000

## შესარჩევი ტურნირი

### I ჯგუფი

**იტალია — შვეიცარია 2-0**
დელ პიერო (19, 61).
**დანია — უელსი 1-2**
0-1 უილიამსი (58), 1-1 ფრედრიკსენი (59), 1-2 ბილეიმი (86).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| უელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| დანია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

### II ჯგუფი

**სლოვენია — ნორვეგია 1-2**
1-0 ზაჰოვიჩი (24), 1-1 ტორე ანდრე ფლო (45), 1-2 რედკალი (80).
ალბანეთი-საფრანგეთი — გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| ნორვეგია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| სლოვენია | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| ალბანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

### III ჯგუფი

**თურქეთი — გერმანია 1-0**
ჰაკანი (69).
**ჩრდ. ირლანდია — ფინეთი 1-0**
როულანდი (30)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| ფინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| ჩრდ.ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |
| გერმანია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |



თურქეთი-გერმანია 1-0
ჰაკანმა (თეთრ მაისურში) გერმანელებს დიდი სიძნელეები შეუქმნა

### IV ჯგუფი

**სომხეთი — ისლანდია 0-0**
**ანდორა — უკრაინა 0-2**
კოსოვსკი (30), რებროვი (42).
**რუსეთი — საფრანგეთი 2-3**
0-1 ანელკა (13), 0-2 პირესი (29), 1-2 იანოვსკი (45), 2-2 მოსტოვოი (57), 2-3 ბოგოსიანი (62).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| სომხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| ისლანდია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| რუსეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 4-6 | 0 |
| ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |



პირესს (№11) მეორე გოლის გატანის შემდეგ პირველად ზიდანი ჩაეხუტა

### V ჯგუფი

**პოლონეთი — ლუქსემბურგი 3-0**
ბეეშჩეკი (18), იუსკოვიაკი (35), ტრეჩაკი (65).
**ინგლისი — ბულგარეთი 0-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| შვედეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| ინგლისი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

### VI ჯგუფი

**კვიპროსი — ავსტრია 0-3**
ჩერნი (54, 62), რაინმაიერი (74).
**სან-მარინო — ისრაელი 0-5**
რევივო (15), ნიშნი (19.59), მიზრაჰი (31), გრაიები (83).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-1 | 4 |
| ავსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |
| სან-მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-5 | 0 |



იტალია-შვეიცარია 2-0.
დელ პიეროს (№10) ბენეფისი — ორი გოლი ერთ მატჩში.

### VII ჯგუფი

**აზერბაიჯანი — უნგრეთი 0-4**
დარდაი (59), ილესი (85, პენ.), ჰისონტი (88), ფეერი (90).
**პორტუგალია — რუმინეთი 0-1**
მუნტეანუ (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| სლოვაკეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-3 | 3 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| აზერბაიჯანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |
| ლიხტენშტეინი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-11 | 0 |

### VIII ჯგუფი

**მალტა — ხორვატია 1-4**
1-0 სუდა (28, პენ.), 1-1 სიმიჩი (54), 1-2, 1-3 იუგოვიჩი (68, 74), 1-4 შუკერი (85).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაკედონია | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ხორვატია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| იუგოსლავია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-8 | 0 |

### IX ჯგუფი

**ლიტვა — ფარერები 0-0.**
**ბოსნია — ჩეხეთი 1-3**
0-1 ბარანეკი (13), 0-2 სმიჩერი (59), 0-3 კუკა (88), 1-3 ტოპიჩი (88).
**შოტლანდია — ესტონეთი 3-2**
0-1 ხოხლოვი (35), 1-1 დოდსი (70), 2-1 ხოხლოვი (70, საკ. კარში). 2-2 სმირნოვი (76), 3-2 დოდსი (85).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| ესტონეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 8-4 | 4 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| ბოსნია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| ლიტვა | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| ფარერები | 4 | 0 | 1 | 3 | 0-7 | 1 |



## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

### I ჯგუფი

**იტალია — შვეიცარია 1-0**
პირლო, 53
**დანია — უელსი 2-2**
0-1 ჰეივორსი (9), 1-1 რომედალი (16), 1-2 ტომასი (45), 2-2 მადსენი (63).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| უელსი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

**13 ოქტომბერი**
უელსი — ბელარუსი
შვეიცარია — დანია

### II ჯგუფი

**სლოვენია — ნორვეგია 1-3**
0-1, 0-2, 0-3 კერიუ (32, 64, 73), 1-3 ცეჰი (89).
**ალბანეთი — საბერძნეთი — გადაიდო.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| ალბანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| სლოვენია | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**13 ოქტომბერი**
ნორვეგია-ალბანეთი
საბერძნეთი — საქართველო

**14 ოქტომბერი**
სლოვენია — ლატვია

### III ჯგუფი

**ჩრდ. ირლანდია — ფინეთი 1-1**
1-0 ქუტი (17), 1-1 ნიემი (30).
**თურქეთი — გერმანია 2-0**
ბერკანტი (7), ემრე (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| ფინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| გერმანია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

**13 ოქტომბერი**
მოლდოვა — გერმანია
თურქეთი — ფინეთი

### IV ჯგუფი

**სომხეთი — ისლანდია 3-1**
1-0 ტამოიანი (2), 2-0 აკოფიანი (8), 3-0 ამისიანი (46), 3-1 გულიონსენი (62).
**რუსეთი — საფრანგეთი 2-1**
0-1 სისე (24), 1-1 ცაპლინი (66), 2-1 ლაკტიონოვი (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სომხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| უკრაინა | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| ისლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

**13 ოქტომბერი**
უკრაინა — სომხეთი

**14 ოქტომბერი**
ისლანდია — რუსეთი

### V ჯგუფი

**ინგლისი — ბულგარეთი 1-0**
ლამბარდი (60, პენ.).
**პოლონეთი — ლუქსემბურგი 5-0**
იაკუბოვსკი (4), გლოვაკო (19), ვიშნიარეკი (40), სობჩაკი (79), ბუკოვსკი (83).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 7-2 | 4 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| შვედეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-5 | 0 |

**13 ოქტომბერი**
ბულგარეთი — შვედეთი
ლუქსემბურგი — ინგლისი

### VI ჯგუფი

**კვიპროსი — ავსტრია 2-1**
1-0 ლამბროუ (20) 2-0 კონდოლეფტეროსი (63), 2-1 სეილერი (74).
**ჰოლანდია — ისრაელი 3-0**
მუსამპა (48), ვენგოორი (60), დე იონგი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| ისრაელი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| ავსტრია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

**13 ოქტომბერი**
ისრაელი — ესპანეთი

**14 ოქტომბერი**
ჰოლანდია — ავსტრია

### VII ჯგუფი

**აზერბაიჯანი — უნგრეთი 2-1**
1-0 მუსაევი (47), 1-1 კაბატი (58), 2-1 ისმაილოვი (59).
**პორტუგალია — რუმინეთი 1-1**
1-0 საბროსა (21, პენ.), 1-1 ლინკარი (37)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| აზერბაიჯანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**13 ოქტომბერი**
უნგრეთი — რუმინეთი
სლოვაკეთი — პორტუგალაია

### VIII ჯგუფი

**მალტა — ხორვატია 0-3**
ლეკო (47 პენ.), ბისკანი (70), დარანჯა (84).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| მაკედონია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ირლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| იუგოსლავია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |

**13 ოქტომბერი**
ირლანდია — მალტა

**14 ოქტომბერი**
ხორვატია — მაკედონია

### IX ჯგუფი

**ლიტვა — ბელგია 0-1**
ვან დე პაასი (40).
ბოსნია — ჩეხეთი 0-0
**შოტლანდია — ესტონეთი 2-0**
დარგო (6), დალგლიში (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსნია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| ბელგია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| ლიტვა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

**13 ოქტომბერი**
ლიტვა— ბოსნია
ჩეხეთი — ესტონეთი

**14 ოქტომბერი**
ბელგია — შოტლანდია

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ახალი ტალანტი – ვენტოლა

როცა იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დინო ძოფმა ამ რამდენიმე დღის წინათ თავი მოუყარა თავის ფეხბურთელებს, მათ შორის მილანის „ინტერიდან“ იყო მხოლოდ ერთი მოთამაშე — 20 წლის თავდამსხმელი ნიკოლა ვენტოლა. მან ნაკრებში ტრავმირებული რობერტო ბაჯო შეცვალა.

ვენტოლა, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ელვის სისწრაფით დაწინაურდა. ერთი წლის წინათ, როცა იგი „ბარიში“ თამაშობდა, ვენტოლის ფეხი მოსტყდა. წინასწარი შეფასებით, 9 თვე მაინც უნდა ემკურნალა, მაგრამ აღდგენითი პროცესი ბევრად უფრო ნაკლები აღმოჩნდა. ვენტოლა დაუბრუნდა „ბარის“, და, რაც მთავარია, მალე ბევრად უფრო ავტორიტეტულმა კლუბმა, მილანის „ინტერმა“ მიიწვია. აქ კი, იმის გამო, რომ რონალდოც დაშავდა და რობერტო ბაჯოც, ვენტოლას ხშირად უხდებოდა ძირითად შემადგენლობაში გამოსვლა. მან ძალიან კარგად გამოიჩინა თავი და აი, დინო ძოფის ყურადღებაც მიიქცია, რომელიც ეძებს ახალგაზრდა ტალანტებს.

## მთელი კარიერა ერთ კლუბში გაატარა

ხოსე ანტონიო კამაჩო იმ საკმაოდ იშვიათ ფეხბურთელთა ჯგუფს მიეკუთვნება, ვინც მთელი თავისი კარიერა ერთ კლუბში გაატარა. დიახ, კამაჩო ამ სახელოვან გუნდში 18 წლისა მივიდა და ძალიან დიდხანს დარჩა, 34 წლამდე. იგი ძალიან მკაცრი მანერით მოთამაშე მარცხენა მცველი იყო, ცხრაჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, ხუთჯერ ესპანეთის თასს დაეუფლა (ეს სამ დუბლს ნიშნავს), ორჯერ — უეფას თასს. თავის პოზიციაზე იგი ესპანეთში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ნაკრებში კი ბევრი, 81 მატჩი ითამაშა.

1990 წელს თამაში რომ დაამთავრა, კლუბში მწვრთნელ ჯონ ტოშაკის ნაცვლად მისულმა ალფრედო დი სტეფანომ კამაჩო მეორე მწვრთნელად მიიწვია. ცოტა ხანს კი იმუშავა, მაგრამ კამაჩოს დამოუკიდებელი საქმიანობა უნდოდა და მადრიდის „რაიო ვალეკანოს“ მთავარი მწვრთნელი გახდა, რომელიც პირველივე წელს პირველ დივიზიონში გადაიყვანა. შემდეგ მუშაობა ბარსელონის „ესპანიოლში“ გააგრძელა, ახლა ეს კლუბი გადაიყვანა ორ წელიწადში პირველ დივიზიონში. საერთოდ კი, აქ კამაჩომ 4 წელიწადს დაჰყო და ესპანეთის ჩემპიონატში მაღალი მეოთხე ადგილი მოუპოვა. შემდეგ ხელმძღვანელობდა „სევილიას“, კვლავ „ესპანიოლს“, წელს მადრიდის „რეალში“ მიიწვიეს, სადაც სულ 22 დღეს იმსახურა, პირობებზე ვერ შეთანხმდა.

ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე კონტრაქტს კამაჩომ 2000 წლის ივლისამდე მოაწერა ხელი.

აი, რა განაცხადა კამაჩომ თავის პრეს-კონფერენციაზე:

— თუ ვინმე ელის ჩემგან რევოლუციას, იმედები უნდა გავუცრუო, ის მოთამაშეები, რომლებიც ნაკრებში კლემენტეს დროს იყვნენ, სავსებით იმსახურებენ იმას, რომ გამოსვლები გააგრძელონ. რა თქმა უნდა, ძველ მწვრთნელს თავისი იდეები ჰქონდა, მე კი ჩემი მაქვს, მაგრამ არა მგონია, ჩვენი შეხედულებები ფეხბურთზე ისე განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, რომ ნოლიდან მომიხდეს მუშაობის დაწყება. ახლა ჩვენ ახალ ტურნირში გამოვდივართ და ძალიან გვინდა მხარდაჭერა. მე მაქვს კიდეც ამ მხარდაჭერის იმედი, პირველ რიგში ფეხბურთელებისაგან, შემდეგ ფედერაციისა, ჟურნალისტებისა და, რა თქმა უნდა, გულშემატკივრებისაგან.

რაც შეეხება პრესას, იგი კამაჩოს მიმართ ყოველთვის უფრო კეთილგანწყობილი იყო, ვიდრე ძველი მწვრთნელის, კლიმენტეს მიმართ.

კამაჩოს ეხმარებიან მის მიერვე შერჩეული ასისტენტები პეპე კარსელენი და კარლოს ლორენსანა.

## დინო ძოფი: „მე რა, ყველას უნდა დავურეკო?“

მილანის მეკარე ჯანლუკა პალიუკა ძალზე უკმაყოფილო დარჩა, როცა იგი მწვრთნელმა დინო ძოფმა იტალიის ნაკრებში არ მიიწვია.

როცა ცნობილი გახდა, რომ ანჯელო პერუცი ტრავმის გამო ნაკრებში არ ითამაშებდა, პალიუკას იმედი ჰქონდა, რომ მის მაგივრად აუცილებლად გამოიძახებდნენ. არა, გამოიძახეს მეკარეები ბუფონი და ტოლდო.

— მე ველოდი ძოფის ტელეფონის ზარს, — იგი ამიხსნიდა, თუ რატომ არ მიმიწვია ნაკრებში. ამაოდ ველოდი, რადგან ძოფმა ახსნა საჭიროდ არ ჩათვალა. თავის დროზე ამას ყოველთვის აკეთებდა „სკუადრა აძურას“ მაშინდელი მწვრთნელი არიგო საკი.

ძოფი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა მეკარის კრიტიკულ გამოსვლას.

— მე რა, ყველას უნდა დავურეკო და ავუხსნა, რატომ არ ვიწვევ ნაკრებში? მაშინ ხომ მე 50-60 სატელეფონო საუბარი უნდა გავმართო.

## მისი წინაპრები იყვნენ... სამუზეუმო ექსპონატები

ესპანურმა ჟურნალმა „ჰოლამ“ გამოაქვეყნა საუბარი მადრიდის „რეალისა“ და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველ კრისტიან კარამბესთან. აქ კარამბემ ფარდა ახადა თავის ოჯახურ საიდუმლოებას: თურმე მისი ორივე დიდი პაპა 1931 წელს პარიზის კოლონიურ გამოფენაზე ჩამოიყვანეს, როგორც... ექსპონატები.

— თქვენ წარმოიდგინეთ, რას უნდა გრძნობდეს ადამიანი, რომელიც თითქმის სრულიად ტიტველი უნდა ეჩვენოს მრავალათასიან უსაქმურ ბრბოს, აუზთან, სადაც ნიანგები და შიშველი ქალები არიან. ჩემი დიდი პაპა ვილი ახალ კალედონიაში ფსიქიკის ღრმა მოშლილობით დაბრუნდა და ვერც ვერასოდეს მოვიდა გონზე. მე ამას არასოდეს დავივიწყებ. ამ სირცხვილს ვერასოდეს ჩამოირეცხავ, რაც უნდა დრო გავიდეს.

შემდეგ კარამბემ განაცხადა, რომ, თუმცა საფრანგეთის ნაკრებში გამოდის, თავი კვლავ კანაკად (ასე ჰქვია ამ პატარა ტომს) მიაჩნია.

## სიმონის ვერ შეელევიან

მილანის „ინტერის“ საკმაოდ უფერულმა თამაშმა სეზონის დასაწყისში, ბევრი ექსპერტის აზრით, „წყალი შეუყენა“ გუნდის მთავარ მწვრთნელ ლუიჯი სიმონის. თუმცა მისი კონტრაქტი მხოლოდ 2000 წელს თავდება, დაიწყეს შემცვლელების: ფაბიო კაპელოს, ემე ჟაკის, იოჰან კრუიფის სავარაუდო დასახელებაც.

ამ დღეებში ამ ლაპარაკს კარგა ხნით მოეღო ბოლო. „ინტერის“ ვიცე-პრეზიდენტმა სანდრო მაცალომ მოაწყო გუნდის წამყვანი მოთამაშეების: ბერნომის, ჯორკაეფის, პალიუკას, სიმეონეს, ვინტერის, სამორანოსა და ძანეტის შეხვედრა კლუბის მეპატრონე მასიმო მორატისთან, სადაც ფეხბურთელებმა სრული ნდობა გამოუცხადეს მწვრთნელს.

## ბასკები ურჩევნია

ესპანეთის ნაკრების ახალი მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო მაინცდამაინც დიდად არ აფასებს მადრიდის „რეალის“ მოთამაშეებს. 14 ოქტომბრის ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩში თელ-ავივში ისრაელის ნაკრების წინააღმდეგ მან სამეფო კლუბიდან გამოიძახა მხოლოდ ორი ფეხბურთელი: მცველი ფერნანდო იერო და თავდამსხმელი რაული.

ახალი მწვრთნელი გაცილებით უფრო მეტ პატივს ბასკების გუნდებს სცემს.

# AUWIDERSEIN, ბრემე!

**მსოფლიოსა** და ევროპის სამგზის ჩემპიონთა სამშობლოში ტრადიციულად დიდ პატივს სცემენ ვეტერანებს. მათი ღვაწლი აწმყო თუ მომავალი თაობებისთვის წმიდათაწმიდაა. გერმანიის საფეხბურთო მოხელეებიც ყველანაირად ცდილობენ ავთენტიკური ასპექტებით გაამდიდრონ თანამედროვე საფეხბურთო ცხოვრება. პრესას და ტელევიზიას არ იკითხავთ? — ნებისმიერი რანგისა თუ ტიპის საფეხბურთო მოვლენას ყოველთვის უსწრებს რომელიმე ვეტერანის წინასიტყვაობა, მერე კი რეზიუმე.

ჰოდა, გამონაკლისი რაღა ანდრეას ბრემე უნდა ყოფილიყო.



38 წლის ბრემეს ამ დღეებში გამოსათხოვარი მატჩი მოუწყვეს კაიზერსლაუტერნის ფრიც ვალტერის სახელობის სტადიონზე – მსოფლიო ნაკრები „კაიზერსლაუტერნს“ შეხვდა (მატჩი ფრედ – 4-4 დამთავრდა). ბრემემ პირველი ტაიმი მსოფლიოს ნაკრებში ითამაშა, მეორე კი „კაიზერში“. მატჩის 70-ე წუთზე ანდრეას ბრემე შეცვალეს, კაიზერელმა თანაგუნდელებმა ის მხრებზე შეისვეს და ბრემეს 18-წლიანი პროფესიული კარიერაც წარსულს ჩაბარდა.

ანდრეას ბრემე 1960 წლის 9 ნოემბერს დაიბადა ჰამბურგში. ფეხბურთის პირველი გაკვეთილები კი პატარა ქალაქ ბარმბეკ-ულენჰორსტის სკოლაში მიიღო. იქ მას მამამისი, ბერნდ ბრემეც ავარჯიშებდა, რომელსაც ანდი ძალიან ემადლიერება და თვლის, რომ უმამოდ დიდი ფეხბურთისკენ გზას ვერ გაიკაფავდა. ბრემეს პირველი პროფესიული კლუბი „ზაარბრუკენი“ გახლდათ. იქ მან ერთი სეზონი დაჰყო (1980-81), მერე კი, „კაიზერსლაუტერნში“ მიიწვიეს. ეს კლუბი მისთვის მშობლიურ კერად იქცა, ახლა კი თვით ბრემეა „კაიზერის“ სიმბოლო. თუმცა, მოდით, კვლავ წარსულს დავუბრუნდეთ. „კაიზერსლაუტერნში“ გადასვლიდან ერთი წლის შემდეგ ბრემემ თვით ჰანს-პეტერ ბრიგელის (რომელიც ვერონის „ჰელასში“ გადავიდა) თითქმის სრულფასოვნად შეცვლა შეძლო – მარცხენა ფლანგს მშვენივრად აკონტროლებდა, თუმცა დაცვის ცენტრში ბრიგელივით (ის ხომ ფეხბურთელი-უნივერსალი იყო) კარგად ვერ ირჯებოდა. ასეა თუ ისე, ანდრეას ბრემე, ესპანეთი-82-ის შემდეგ ნაკრების თავკაცის იუპ დერვალის თვალთახედვის არეში მოხვდა. დიახ, მხოლოდ თვალთახედვის არეში და არა ეროვნულ გუნდში, სადაც ძალიან მძაფრი კონკურენცია იყო. ევრო-84-ის შესარჩევ ტურნირში ბრემეს ამის გამო არ უთამაშია, მაგრამ დერვალმა საფრანგეთის ევროპის ჩემპიონატამდე მაინც იხმო ანდრეასი – ეს 1984 წლის 15 თებერვალს მოხდა, როცა გფრ-მ ამხანაგური მატჩი ჩაატარა სტუმრად ბულგარელებთან (დასავლეთგერმანელებმა გაიმარჯვეს 3-2) და ბრემე ნაკრების თავკაცმა საფრანგეთშიც წაიყვანა, სადაც იუპ დერვალის გუნდმა სრული ფიასკო განიცადა. ანდრეასი კი თანდათან ეროვნული გუნდის წამყვანი მოთამაშე ხდებოდა, ნაკრების ახალი მწვრთნელი ფრანც ბეკენბაუერიც ერთობ ემადლიერებოდა მას. მექსიკა-86 „კაიზერ ფრანცის“ გუნდისათვის თავისებურ ტრამპლინად იქცა, საიდანაც მხოლოდ ტრიუმფის გადმოსახედი მოჩანდა. მექსიკაში, ნახევარფინალურ მატჩში ანდრეას ბრემეს საჯარიმო დარტყმას ფრანგთა გოლკიპერმა ჟოელ ბატსმა ვერაფერი მოუხერხა. ბრემეს იმ გოლმა საფრანგეთის ნაკრები ფსიქოლოგიურად „დაამსხვრია“ და გფრ ზედიზედ მეორედ გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. მეხიკოს „აცტეკაზე“ კი 0-2 აგებდა მარადონას გუნდთან, სადაც ანდრეასმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი – მის ერთ ჩამოწოდებულ კუთხურს რუმენიგეს გოლი მოჰყვა, მეორე კუთხურს კი ფიოლერის. მაგრამ მარადონამ საბოლოოდ მაინც თავისი გაიტანა და ბურუჩაგას ბოლო წუთებზე გამარჯვების გოლი გაატანინა შუმახერის კარში. „ჩემზე უბედური კაცი თუ სადმე იყო, არც კი მეგონა. ერთხანს ყველაფრისთვის თავის დანებებაც მინდოდა, მაგრამ შემდეგ ვიფიქრე, რომ შეიძლებოდა ბედნიერი დღე ჩვენც დაგვდგომოდა“ – ბრემეს წინასწარმეტყველება მართლაც აუხდა და თანაც როგორ... თუმცა მანამდე იმასაც შეგახსენებთ, რომ 1986 წლიდან ბრემე შეელია თავის მშობლიურ „კაიზერსლაუტერნს“ და გაცილებით უფრო სახელოვან, გერმანული ფეხბურთის სუპერკლუბ მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა, შემდეგ მილანის „ინტერში“.

ახლა კი რაც შეეხება ანდრეასის წინასწარმეტყველებას ანუ ბეკენბაუერის გუნდის ფიესტას – 1990 წლის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში, რომის ოლიმპიურ სტადიონზე ბრემეს ერთადერთი გოლი საკმარისი აღმოჩნდა რომ გერმანელები მესამედ გამხდარიყვნენ პირველები. ანდრეასმა ეს თერთმეტმეტრიანით მოახერხა, რომელიც მარჯვენა ფეხით შეუსრულა (არადა, ბრემე ხომ მარცხენა ფლანგზე თამაშობდა და ყველას ეგონა, რომ მისი „მუშა“ ფეხი ცაცია იყო) არგენტინელთა მეკარე გოიკოეჩეას. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მან ფინალამდე ორი, მეტად პრინციპული გოლი გაიტანა – ერთი მერვედფინალში ჰოლანდიელებთან, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა და ამავე დროს ეფექტურიც: ლიტბარსკიმ ისე ჩამოაწოდა მარჯვენა ფრთიდან კუთხური, რომ ბრემემ ბურთი თავის „მშობლიურ“ მარცხენა ფლანგზე მიიღო ჰოლანდიელთა საჯარიმოს მოედნის თითქმის კუთხესთან და მოულოდნელად მარჯვენა ფეხით ისეთი „მოჭრილი“ დაარტყა, რომ ვან ბროკელენმა (ნიდერლანდთა მეკარე) მხოლოდ თვალი გააყოლა ბადეში „გაფართხალებულ“ ბურთს (ის მატჩი გერმანიამ 2-1-ზე მოიგო).

ნახევარფინალში კი ანდრეასმა ინგლისელი პიტერ შილტონი გააწბილა, ოღონდ ცაციით შესრულებული საჯარიმოთი. რაც შეეხება ბრემეს 11-მეტრიანს ფინალში, ახლა თვით ანდრეასს მოვუსმინოთ: „როცა „ზაარბრუკენში“ გამოვდიოდი და ერთხელ ბოლეფელდის „არმინიას“ რომ ვხვდებოდით 11-მეტრიანის დარტყმა დამაკისრეს, ვერ გავიტანე. ყველა მლანძღავდა, თავს დამცირებულად და უბედურადაც კი ვგრძნობდი. მას შემდეგ ბევრი ბედნიერი წუთი განვიცადე, მაგრამ ის გაცუდებული პენალტი მოსვენებას მაინც არ მაძლევდა, სანამ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში არ გავიტანე 11-მეტრიანი“.

მომდევნო მონდიალზე ბრემემ, გერმანიის ეროვნული გუნდის დარად ვერაფრით გამოიჩინა თავი. 34 წლის ანდრეასმა ნაკრები დატოვა (ჩატარებული აქვს 86 მატჩი) და გადაწყვიტა კარიერის ბოლო წლები „კაიზერსლაუტერნისათვის“ დაეთმო. 1996 წელს ბრემეს გუნდი ბუნდესლიგიდან გავარდა, მაგრამ ვეტერანი არც მაშინ ჩამოშორებია მშობლიურ კერას და ოტო რეჰაგელთან („კაიზერსლაუტერნის“ მწვრთნელი) ერთად ხელებიც დაიკაპიწა ბუნდესლიგაში დასაბრუნებლად. მართალია, ბრემე ძველებურად ვეღარ თამაშობდა, მაგრამ მისი გამოცდილება, რჩევები, რომლებსაც რეჰაგელიც იზიარებდა, დიდად გამოადგა „კაიზერსლაუტერნს“ – გუნდი მყისვე დაბრუნდა ბუნდესლიგაში (ბრემე უკვე იშვიათად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში) და პირველივე სეზონში გერმანიის ჩემპიონობაც მოიპოვა.

...ანდრეას ბრემეს კი რაღა დარჩენოდა, კარიერის მაჟორულ აკორდზე დაგვიქნია ხელი და გერმანიის დიად საფეხბურთო წარსულში დაისადგურა.

**დათო თავართქილაძე**

# რჩება სამი ტური

## რუსეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

რუსეთის 1998 წლის ჩემპიონატის დამთავრებამდე სულ სამი ტურიღა დარჩა. დაძაბულობა დიდია, გადასაწყვეტი ბევრი რამაა.

ახლა, 27 ტურის შემდეგ 53 ქულით კვლავინდებურად პირველ ადგილზეა მოსკოვის „სპარტაკი“, რომელიც უახლოეს მეტოქეს 6 ქულით უსწრებს. უპირატესობა თითქოს უზარმაზარია, მაგრამ თუ რამდენად საკმარისია იგი ჩემპიონობის შესანარჩუნებლად, ეს ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიდერის შეხვედრას 17 ოქტომბერს ვოლგოგრადში ადგილობრივ „როტორთან“, რომელსაც აქვს მეორე ადგილზე გამოსვლის პრეტენზია. საკმაოდ უფერული მატჩების სერიის შემდეგ, რომელთა შორის იყო მძიმე დამარცხება (1-4) ცსკა-სთან, „სპარტაკმა“ ბოლოს და ბოლოს, მოიგო „ტორპედოსთან“ — 1-0.

— რამდენად მნიშვნელოვანი იყო მოგება „ტორპედოსთან“? — ჰკითხა კორესპონდენტმა „სპარტაკის“ წამყვან ფეხბურთელ ანდრეი ტიხონოვს:

— ეს სამი ქულა ჩვენ ჰაერივით გვჭირდებოდა. ეს მატჩი რომ არ მოგვეგო, შემდეგში ურთულეს პირობებში აღმოვჩნდებოდით. ჩვენ დაგვრჩა გასვლითი მატჩები „როტორთან“, რომელიც საპრიზო ადგილის პრეტენდენტია, და ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცთან“, რომელიც უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. და „შინიკიც“, რომელსაც მოსკოვში ვეთამაშებით, იოლად დასაძლევი არ გახლავთ.

„შინიკს“ მოსკოველები 25 ოქტომბერს ეთამაშებიან, ბოლო მატჩს ნოვოროსიისკში კი „სპარტაკი“ 30 ოქტომბერს გამართავს.

„სპარტაკს“ ამ ჩემპიონატში სერიოზული კონკურენტი არც კი ეყოლებოდა, სრულიად მოულოდნელი, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, სენსაციური ამბები რომ არ მომხდარიყო. მოსკოვის ცსკა, რომლის ამოცანა თითქოს უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის ბრძოლა უნდა ყოფილიყო, მწვრთნელის შეცვლამ ისე გაახალისა, რომ ამის შემდეგ ყველა (!) შეხვედრას იგებს. „როსტსელმაშთან“ მოსკოვში მოპოვებული გამარჯვება (1-0) ზედიზედ მეცხრეა! ამის შემდეგ ცსკამ 47 ქულა მოაგროვა. 17 ოქტომბერს იგი „ტორპედოს“ ეთამაშება 25 ოქტომბერს „როტორ“ მიიღებს, ხოლო 30 ოქტომბერს იაროსლავლში „შინიკს“ ხვდება. როგორი შედეგითაც არ უნდა დაამთავრონ არმიელებმა ჩემპიონატი, მათი ახალი მწვრთნელის — ოლეგ დოლმატოვის აქციებმა მეტად აიწია. ყოველ შემთხვევაში, რაც რუსეთის ჩემპიონატები ტარდება, გუნდის ასეთი ტრანსფორმაციის მეორე ფაქტს ისტორია არ იცნობს. მართალია, იყო შემთხვევა, როცა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ზედიზედ 11 გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ მას წინსვლა სახიფათო ზონიდან არ დაუწყია.

მოსკოვის „ლოკომოტივი“ ახლა 46 ქულით მესამე ადგილზეა და სატურნირო ცხრილში კიდევ ერთი საფეხურით წინ წაწევას ცდილობს. 17 ოქტომბერს იგი მოსკოვში მიიღებს ელისტის „ურალანს“, 25 ოქტომბერს სამარაში ეთამაშება „კრილია სოვეტოვს“, ხოლო ჩემპიონატს 30 ოქტომბერს თავის მინდორზე დაამთავრებს ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბალტიკასთან“ (კალინინგრადი). არის საპრიზო ადგილის კიდევ ორი პრეტენდენტი: „როტორი“ (45 ქულა) და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“ (43). „როტორი“ „სპარტაკისა“ და ცსკას გარდა, უკანასკნელ ტურში 30 ოქტომბერს მოსკოვის „ტორპედოს“ მიიღებს. შედარებით უფრო იოლი ფინიში აქვს „ზენიტს“, რომლის სადავეები ანატოლი ბიშოვეცმა ახლა ვეტერან ანატოლი დავიდოვს გადააბარა. იგი შინ ეთამაშება „კრილია სოვეტოვს“, გასვლითი მატჩი აქვს „ბალტიკასთან“ და ჩემპიონატს საკუთარ მინდორზე ამთავრებს „ტიუმენთან“, რომლისთვისაც პირველობა კარგა ხნის დასრულებულია.

არის რამდენიმე გუნდი, რომელსაც დარჩენილ მატჩებში, რომ იტყვიან, ნაკლები მოტივაცია აქვს. არც საპრიზო ადგილის პრეტენდენტები არიან და არც უმაღლესი ლიგის დატოვება ემუქრებათ. როგორც რუსული პრესა არაერთგზის აღნიშნავდა, ისინი სწორედ „ამ დროს უცდიან“ ხოლმე, მოლაპარაკებით მატჩებთან ბრძოლა კი ჯერჯერობით უშედეგოა.

თუ „ტიუმენი“ კარგა ხანია განწირულია (7 ქულა 27 თამაშიდან!), უმაღლეს ლიგას ან „ბალტიკა“ დასტოვებს, ან „ჩერნომორეცი“. მათ 29-29 ქულა აქვთ და ერთმანეთს სწორედ მომდევნო ტურში ნოვოროსიისკში ხვდებიან. მოსკოვის „დინამო“ კი, რომელიც რის ვაინაჩრობით გასცდა სახიფათო ზონას, ვლადიკავკაზის „ალანიას“ იღებს და არა აქვს წაგების უფლება!

გადავხედოთ სნაიპერთა ცხრილს. წლეულს რაიმე დიდი ბრძოლა პირველი სნაიპერის წოდებისათვის არა ყოფილა — იგი, შეიძლება ითქვას, თითქმის გარანტირებული აქვს ოლეგ ვერეტენიკოვს („როტორი“), რომელმაც 19 გოლი გაიტანა, 12-12 გოლის ავტორები არიან გიორგი დემეტრაძე („ალანია“), რომელიც შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაება, იური მატვეევი („როსტსელმაში“) და ვლადიმირ კულიკი (ცსკა). 11 გოლი გაიტანა ვალერი ესიპოვმა („როტორი“). 9-9 — ილია ციმბალარმა („სპარტაკი“) სერგეი ბულატოვმა („ტორპედო“) და ოლეგ ტერეხინმა („დინამო“).

ერთი სიტყვით, ჩემპიონატი იწურება, გასარკვევი კი კვლავ ბევრი რამ არის.

**გივი თორელი**

# გასაოცარი ხორვატები

**ხორვატიის ნაკრების გასაოცარ წარმატებას მსოფლიო პირველობაზე, ეტყობა ექსპერტები მრავალგზის დაუბრუნდებიან. ლონდონის გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ ფურცლებზე საინტერესო მიმოხილვა გამოაქვეყნა ცნობილმა ჟურნალისტმა დევიდ მილერმა. გავეცნოთ ამ სტატიას**

ხორვატიაში ახლა სულ 200 პროფესიონალი ფეხბურთელი თამაშობს. მათი უმეტესობა წელიწადში დაახლოებით იმდენს იღებს, რამდენსაც ალან შირერი ან დევიდ ბეკჰემი – ერთ კვირაში. გერმანიაში, იმ ქვეყანაში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალისაკენ მიმავალ გზაზე ხორვატებთან დამარცხდა, აღრიცხული ფეხბურთელების რიცხვი ერთი მილიონით აღემატება პატარა ბალკანური ქვეყნის მცხოვრებთა საერთო რაოდენობას. გერმანია – ხორვატიის მეოთხედფინალური მატჩის ანგარიშს თუ გავითვალისწინებთ – 3-0 ხორვატების სასარგებლოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ საქმე გვაქვს რაღაც სპორტულ ფენომენთან.



მიროსლავ ბლაჟევიჩი

თუმცა, თუ კარგად გავერკვევით, აქ გასაოცარი არაფერია. ზოგიერთი ხორვატი ფეხბურთელი ჩემი სიჭაბუკის კერპი იყო, თუმცა მაშინ ვერც კი ვარჩევდი, რა ეროვნებისანი იყვნენ ისინი, იმიტომ, რომ ერთიანი იუგოსლავიის დროშით გამოდიოდნენ. 1953 წელს მატჩში, რომელიც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის არსებობის 90-ე წლისთავისადმი იყო მიძღვნილი, მასპინძლებმა – ინგლისელებმა ფრეს – 4-4 მიაღწიეს დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებთან პენალტის წყალობით, რომელიც უკანასკნელ წლებში ალფ რამსეიმ გამოიყენა. მაშინ ჩვენ, „უემბლის“ ტრიბუნებზე აღტაცებული ვიყავით ერნსტ ოცვირკითა და ლადისლაო კუბალათი, ავსტრიელი და ესპანელი (ეროვნებით სლოვაკი კუბალა, ადრე ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ნაკრებების მოთამაშე, შემდეგ ესპანეთის ნაკრებში გამოდიოდა – *რედ.*) პლეიმეიკერებით მფრინავი შვედი ცენტრფორვარდით, ჰუნარ ნორდალით. მათ მხარდამხარ იმ ნაკრებში თამაშობდნენ ვლადიმირ ბეარა, ზლატკო ჩაიკოვსკი, ბერნარდ ვუკასი და ბრანკო ზებეცი. ისინი ყველანი ხორვატები იყვნენ: მეკარე ბეარა და ვუკასი სპლიტის „ჰაიდუკში“ გამოდიოდნენ, ჩაიკოვსკი და ზებეცი – ზაგრების „დინამოში“. დღეს „დინამოს“ გუნდი უკვე აღარ არსებობს. ფრანიო ტუჯმანმა, დამოუკიდებელი ხორვატიის პრეზიდენტმა, მოითხოვა, რომ მისთვის სახელი შეეცვალათ და „კროაცია“ ეწოდებინათ.

გერმანიის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ პატარა საკურორტო ქალაქი ვიტელი, სადაც „კროაციის“ ბაზაა, გაივსო წითელთეთრ მაისურებში ჩაცმული, ავსტრალიისა და ჰავაის კუნძულებიდან დაბრუნებული ემიგრანტებით. ისინი ადრილობრივ, ცოტაოდენ გაოცებულ, მაგრამ ბედნიერ მცხოვრებლებთან ერთად, ხორვატიის ჰიმნს მღეროდნენ, „ძნელია გააზვიადო ამ გამარჯვების მნიშვნელობა – განაცხადა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა – ჩვენი ხალხისათვის ამაზე უფრო მნიშვნელოვანი არც ერთი მოვლენა არ იქნებოდა“. ეს მნიშვნელობა კი იმით გამოიხატება, რომ ამ ერისათვის, უბრალოდ, აუცილებელია სამყაროს (და არა მარტო ფეხბურთის სამყაროს) ყურადღება.

***ცხოვრების პირობები ომის შედეგად გაღატაკებულ ამ ქვეყანაში, საკმაოდ ცუდია. ყოველწლიურად 200-ზე მეტი ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშე მიდის იტალიაში, გერმანიასა, ესპანეთსა და ავსტრიაში – ხორვატიის საფეხბურთო იმპორტის ყველა საბოლოო პუნქტს ვერც კი ჩამოთვლი. მაგრამ, თუკი მოთამაშეების მუდმივი ემიგრაცია მკვეთრად ადაბლებს ეროვნული ჩემპიონატის თამაშების დონეს, სამაგიეროდ, ეროვნული ნაკრები აქედან უდავო სარგებლობას იღებს, რადგან მის ფეხბურთელებს ევროპის ქვეყნების უძლიერეს ჩემპიონატებში გამოცდილების მიღების საშუალება აქვთ.***

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში გერმანელებისა და ფრანგების წინააღმდეგ ბლაჟევიჩმა სასტარტო შემადგენლობაში სულ ორი ფეხბურთელი გამოიყვანა, ვინც სამშობლოში გამოდის – მეკარე დრაჟენ ლადიჩი და მცველი დარიო შიმიჩი (ორივე – „კროაციიდან“). 22 წლის შიმიჩის გარდა, რომელმაც თვით კლინსმანი გამორთო თამაშიდან, ძირითად შემადგენლობაში არც ერთი ფეხბურთელი იყო 25 წელზე უმცროსი.

მაღალი კლასის ფეხბურთელების დაწინაურება ხორვატიაში ათწლეულობით სპონტანურად ხდებოდა. მაგრამ 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ტალანტები ამ ქვეყანაში საკმაოდ მუდმივად გამოდიან. როცა ჩაიკოვსკიმ, ვუკასმა და მათი თაობის ფეხბურთელებმა თამაშს თავი დაანებეს, გაიბრწყინა დრაჟენ ერკოვიჩის ვარსკვლავმა, რომელიც მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი იყო. ამ შეჯიბრებაში იუგოსლავიამ მეოთხე ადგილი დაიკავა. ევროპის 1976 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშობდნენ ბულიანი, შურიაკი და კატალინსკი. იარნი, პროსინეჩკი და შუკერი იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდნენ, ახლა კი უკვე დამოუკიდებელი ხორვატიის შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატის მედალისტები გახდნენ

***როგორც ნაკრების კაპიტანი, „მილანის“ ნახევარმცველი ზვონიმირ ბობანი ამტკიცებს, მის მოთამაშეებს უსაზღვრო პატრიოტიზმი აერთიანებს: „როცა ჩვენ ერთად ვიკრიბებით, თითოეული ჩვენგანის მოტივაცია მეტისმეტად იზრდება“. ხორვატი ვარსკვლავები არასოდეს ელაპარაკებიან ერთმანეთს იმ დროზე, როცა იუგოსლავია ჯერ კიდევ ერთიანი იყო. ძალიან მტკივნეულია ის ჭრილობები, რომლებიც მათ და მათ ნათესავებს ომმა მიაყენა.***



განვლილ, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ხორვატებმა სამი უპასუხო გოლი გაუტანეს იმჟამისათვის აღიარებულ გერმანელებს. სურათზე: დავორ შუკერის მესამე გოლი მეკარე კეპკეს კარში.

უნდა ითქვას, რომ რაიმე სისტემა ახალგაზრდა ფეხბურთელების მომზადებისა ხორვატიაში არც კი არსებობს. არ არის რეზერვების მომზადების პროგრამა, არც ფულია მოზარდთა და ჭაბუკთა სკოლების დასაფინანსებლად, 5 ათასი მწვრთნელიდან ორასი თუ არის პროფესიონალი, სხვები ფეხბურთში მუშაობენ როგორც მოყვარულები; ამასთან, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მოღვაწეობენ. წელიწადში ორჯერ იხსნება ბანაკები იმედისმომცემი ახალგაზრდებისათვის, სადაც მათ საშუალება აქვთ დახვეწონ თავიანთი ოსტატობა. მხოლოდ წამყვან კლუბებს თუ აქვთ საშუალება თითოეულ ასაკობრივ ჯგუფს ცალკე მწვრთნელი გამოუყონ. ამასთან ერთად, „კროაციაც“ და „ჰაიდუკიც“, ყოველწლიურად მოთამაშეებს რომ კარგავენ, ევროპულ ასპარეზზე წამყვან კლუბებს კონკურენციას ვერ უწევენ.



ზვონიმირ ბობანი

ხორვატიის ნაკრების ახლანდელი წარმატება შემთხვევითი არ არის თუნდაც იმიტომ, რომ მასში შედიოდა იუგოსლავიის 1992 წლის ნაკრების მოთამაშეების ნახევარი, იმ გუნდისა, რომელიც ევროპის ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლებოდა, მაგრამ პოლიტიკური მოტივებით შეჯიბრების ასპარეზობაში არ დაუშვეს. უკანასკნელ წლებში ხორვატია ყველა იმ ტურნირის მეოთხედფინალში იყო, რომელიც კი ფიფას ეგიდით ტარდებოდა – მსოფლიო ჩემპიონატებში 16 და 18 წლიანებისათვის, ვაჟებისათვის, ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

თავისებურ გამოცანად დარჩა ხორვატების ახლანდელი მწვრთნელი, 63 წლის მიროსლავ ბლაჟევიჩი. იგი ექსცენტრულ-იუმორისტული მანერით უპასუხებდა ყველა კითხვაზე, რომელსაც კი პრეს-კონფერენციებზე უსვამდნენ. ამ კითხვების პასუხებზე იგი იმდენ ხანს ფიქრობდა, თითქოს დაავიწყდაო, რას ეკითხებოდნენ. მისი ხმა თითქმის არც კი ისმოდა. თუმცა ერთი რამ ყველა ჟურნალისტს დაამახსოვრდა: „ცდებიან ისინი, ვინც ჩვენ ჯეროვნად არ გვაფასებენ“. ამას ბლაჟევიჩი ჩემპიონატის დასაწყისიდან ამბობდა და სწორიც აღმოჩნდა.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## აფრიკის თასი

### შესარჩევი ტურნირი I ტური

**I ჯგუფი**

კამერუნი — განა 1-3
მოზამბიკი — ერითრეა 3-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| მოზამბიკი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| კამერუნი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| ერითრეა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |

**23 იანვარი**
განა — მოზამბიკი
ერითრეა — კამერუნი

**II ჯგუფი**

ტოგო — გვინეა 2-0
მაროკო — სიერა-ლეონე 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| ტოგო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| გვინეა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| სიერა-ლეონე | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

**23 იანვარი**
სიერა-ლეონე — ტოგო
**24 იანვარი**
გვინეა — მაროკო

**III ჯგუფი**

ნამიბია — კონგო 0-1
მალი — სპილოს ძვლის ნაპირი 0-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კონგო | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| სპ. ძვ. ნაპირი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| მალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| ნამიბია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

**24 იანვარი**
კონგო — მალი
სპ. ძვლის ნაპირი — ნამიბია

**IV ჯგუფი**

გაბონი — მავრიკეთი 2-0
სამხ. აფრიკა — ანგოლა [illegible]

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაბონი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| სამხ. აფრიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ანგოლა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| მავრიკეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

**24 იანვარი**
ანგოლა — გაბონი
მავრიკეთი — სამხ. აფრიკა

**V ჯგუფი**

ბურუნდი — სენეგალი (გადაიდო)
ბურკინა ფასო — ნიგერია 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბურკინა ფასო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ნიგერია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ბურუნდი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| სენეგალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |

*შენიშვნა: ამ ჯგუფის მომავალი თამაშების კალენდარი მოგვიანებით გამოცხადდება*



**VI ჯგუფი**

ზამბია — კონგო 1-1
კენია — მადაგასკარი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კენია | 1 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 1 |
| კონგო | 1 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 1 |
| ზამბია | 1 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 1 |
| მადაგასკარი | 1 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 1 |

**24 იანვარი**
კონგო — კენია
მადაგასკარი — ზამბია

**VII ჯგუფი**

ტუნისი — ლიბერია 2-1
უგანდა — ალჟირი 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| უგანდა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| ალჟირი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| ლიბერია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |

**22 იანვარი**
ალჟირი — ტუნისი
**23 იანვარი**
ლიბერია — უგანდა

## კაპელო ჟირესის ნაცვლად

***„პარი სენ-ჟერმენს“ არასდროს აკლდა მფარველები, და, გასაგებია, არც ფინანსურ გაჭირვებას უჩივის. აი, მწვრთნელებში კი ბედი, რაც ლუის ფერნანდესმა დატოვა ეს გუნდი და ბილბაოს „ატლეტიკში“ გადავიდა, ნაწილობრივ არ სწყალობს, თუმცა ბევრს ცდილობს ხელში კარგი სპეციალისტი ჩაიგდოს, აშკარად არ გაამართლა ბრაზილიელმა გომეშმა, რომელიც ჯერ ფერნანდესთან მხარდამხარ მუშაობდა, შემდეგ კი ერთმმართველი გახდა.***

წლეულს, მაისში „პარი სენ-ჟერმენის“ მწვრთნელად ახლო წარსულში კარგად ცნობილი ფეხბურთელი ალენ ჟირესი მიიწვიეს, რომელმაც რიხიანი განცხადებები კი გააკეთა, მაგრამ გუნდის მდგომარეობა ვერაფრით გამოასწორა. საფრანგეთის ჩემპიონატის რვა ტურის შემდეგ [illegible] სულ 10 ქულა მოაგროვეს და მე-12 ადგილზე აღმოჩნდნენ. მოთმინების ფიალა აავსო პარიზში ამ ტურში ბოლო წუთებში „ლანსთან“ წაგებამ 0-1. ამას ჟირესი შეეწირა, რომელსაც განთქმული იტალიელი სპეციალისტი ფაბიო კაპელო შეცვლის. კაპელოს აქტივში დიდი მიღწევები „მილანში“, შემდეგ მადრიდში ერთწლიანი მიწვევა და პირველი ადგილი მართალია, შარშან „მილანში“ დაბრუნების შემდეგ კაპელომ გუნდს ვერაფერი უშველა.



კაპელო

## ლამა ბარტეზის ნაცვლად

**მოსკოვში გამგზავრების წინ საფრანგეთის ნაკრებს გამოაკლდა ძირითადი მეკარე ფაბიენ ბარტეზი, რომელმაც ტრავმა მიიღო. მიმომხილველთა აზრით, მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირის საბრძოლო მზადყოფნა ისედაც არ იყო მაინცდამაინც დამაკმაყოფილებელი.**

**ახლა ბარტეზი სასწრაფოდ შეცვალა „პარი სენ-ჟერმენის“ მეკარემ ბერნარ ლამამ, რომელიც მწვრთნელის მიერ ადრე დასახლებულ შემადგენლობაში არც კი ყოფილა.**

## გერმანელ მწვრთნელს მოუხმეს...

კანადის ნაკრების აწ უკვე განთავისუფლებულმა მწვრთნელმა ბობ ლენარდუციმ ვერაფერს მიაღწია – გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში ვერ მოხვდა. ახლა მდგომარეობა უნდა გამოასწოროს გერმანელმა სპეციალისტმა ჰოლგერ ოსიეკმა, რომელიც ფრანც ბეკენბაუერს ეხმარეობდა ეროვნულ ნაკრებში 1990 წლის მსოფლიო საჩემპიონატო მომზადებისთვის.

კანადური ფეხბურთი ჰოლგერ ოსიეკისათვის უცხო არ არის – ერთ დროს იგი „ვანკუვერ უაიტკეპსში“ თამაშობდა.

## ორი საგზურის 6 პრეტენდენტი

რუსეთის პირველ დივიზიონში შეჯიბრების დამთავრებამდე 6 ტურიღა დარჩა. უმაღლეს დივიზიონში ორი უძლიერესი გადის, პრეტენდენტი კი 22 მონაწილეს შორის მხოლოდ ექვსია.

ჯერჯერობით მტკიცედ ლიდერობს მოსკოვის ახლო მდებარე ქ. რამენსკოეს გუნდი „სატურნი“, რომელსაც 35 თამაშიდან 71 ქულა აქვს. ამდენივე თამაშიდან 65 ქულით მეორე ადგილზეა ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივი“, სადაც ყოფილი თბილისის დინამოელი კახი გოგიჩაიშვილი თამაშობს.

36 თამაშიდან 64 ქულით მესამე ადგილზეა სარატოვის „სოკოლი“, რომლის კარს იური ოყროშიძე იცავს. 36 თამაშიდან 60 ქულა მოაგროვა სმოლენსკის „კრისტალმა“. 35-35 თამაშიდან 56-56 ქულა აქვთ ძირითადად ბრაზილიელებისაგან შემდგარ ტულის „არსენალსა“ და სტავროპოლის „დინამოს“.



## ელისტის ოლიმპიადაზე

# კაისამ ფინიშზე გაგვწირა...

ელისტის ოლიმპიადა წინანდელებისაგან მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩეოდა. ჯერ იყო ყალმუხეთის დედაქალაქში უკვე ჩასულ მონაწილეებს მის დაწყებამდე ორი დღე ცდა მოუხდათ. სატურნირო დარბაზი მოჭადრაკეების მისაღებად მთლად მზად არ აღმოჩნდა (კედლებს საღებავი არ შეშრობოდა!), ზოგმა გუნდმა დააგვიანა, თუმცა, როდის იყო, რომ მათ უცდიდნენ?! ასე იყო თუ ისე, მიღებული იქნა უმაგალითო გადაწყვეტილება – 14 ტურის ნაცვლად (ასე იყო აქამდე ყოველთვის) გაემართათ 13, ორი დასვენების დღის ნაცვლად ერთიც ეკმარათ. შეიძლება არც ერთსა და არც მეორეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს, ერთი პარტიით ნაკლებს ითამაშებ, მაგრამ ამან გუნდების გეგმებში კორექტივი მაინც შეიტანა.

საქართველოს ქალთა ნაკრებმა, თუ ფინიშზე დამაჯერებელ თამაშს არ ჩავთვლით, შეჯიბრების დიდი ნაწილი მეტად არათანაბრად ჩაატარა. გარდა გუნდის ლიდერ მაია ჩიბურდანიძისა, რომლის საბრძოლო მზადყოფნა ამჟამად ძალიან კარგია, ჩვენმა დანარჩენმა მოჭადრაკეებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. შეჯიბრების დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე ჩინელები მთელი სამი ქულით უსწრებდნენ ჩვენებს. თუ ამ გუნდის მოჭადრაკეების განსაკუთრებულ შეუპოვრობას გავითვალისწინებთ, ეს პირველი ადგილის დასაკავებლად საკმარისი უნდა ყოფილიყო, თუმცა ერთგვარი იმედი მაინც რჩებოდა.



აქლემი – ოლიმპიადის სიმბოლო

ქართველი და ჩინელი მოჭადრაკეების უშუალო შეხვედრა ოლიმპიადის კულმინაციას შეადგენდა. მაია ჩიბურდანიძემ, ისევე, როგორც წინა ოლიმპიადებზე, აქაც მოუგო სიუ ჟუნს, ნანა იოსელიანმა ყაიმით დაასრულა შეხვედრა ჟუ ჩენთან, ხოლო ქეთევან არახამიამ – ვანგთან. საქართველოს ნაკრებმა მეტოქეს პირველი დამარცხება აგემა – 2:1 და ქულათა განსხვავებაც ორამდე შეამცირა. მომდევნო ტურში ქართველებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს რუმინელები (ამჯერად მოიგო არახამიამ, ორი პარტია კი ყაიმით დასრულდა). მერე განსხვავება ერთნახევარ ქულამდე შემცირდა, რადგან ჩინელებმა ყაიმით ითამაშეს რუსებთან, მაგრამ...

ვერაფერი შედეგი მოგვიტანა მეთორმეტე ტურმა. აქ ჩვენებმა, მართალია, მოუგეს უკრაინელებს – 2:1 (ნინო ხურციძემ გაიმარჯვა, ორი ყაიმი), მაგრამ ჩინელებმა მშრალი ანგარიშით 3:0 სძლიეს უნგრელებს. მათ 27,5 ქულა მოაგროვეს, საქართველოს ნაკრებმა – 25, რუსებმა – 24,5. ახლა ჩინელებს ჩემპიონობის მოსაპოვებლად თითქმის აღარაფერი სჭირდებოდათ.

ჩვენმა ვაჟებმა ამჯერად გაცილებით უკეთ ითამაშეს, ვიდრე წინა ოლიმპიადებზე. თუ ყაიმი (2:2) შვეციის ძლიერ ნაკრებთან ურიგო შედეგი არ იყო, სამაგიეროდ, წაგება (1,5:2,5) ლატვიელებთან, რომლებიც რეიტინგით აშკარად ჩამოუვარდებიან საქართველოს გუნდს, მტკივნეული მარცხია.

ყოველივე ამის შემდეგ საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა მაინც მოახერხა დაწინაურება, ჩემპიონები კი რუსები გახდნენ.

# გურამ ცხოვრებოვი



უკურნებელმა სენმა 60 წლისას გამოსტაცა სიცოცხლე ქართული ფეხბურთის ყველაზე გამორჩეული თაობის ერთ-ერთ ყველაზე ღირსეულ წარმომადგენელს გურამ ცხოვრებოვს.

გურამმა განსაკუთრებულად დაამახსოვრა თავი 60-70-იანი წლების ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს. იყო მართლაც ორიგინალური მცველი, ჰქონდა საკუთარი ხელწერა, იგი არავის ჰგავდა, არავის ბაძავდა თამაშის მანერით, პირიქით, მას ბაძავდნენ. გურამი იყო ჭეშმარიტი რაინდი, უაღრესად დიდ პატივს სცემდა მეტოქესაც კი, რადგან მინდორზეც იგივე იყო, რაც ცხოვრებაში – თბილი, ალალი, ადამიანების მოყვარული, კეთილსინდისიერი და უაღრესად პატიოსანი, ხალასი გულის პატრონი. ამიტომაც იყო, რომ როგორც დიდმა პიროვნებამ, დიდმა ფეხბურთელმა, საყოველთაო აღიარება და პატივისცემა დაიმსახურა, იგი ერთნაირად უყვარდა ქართველებსაც და ოსებსაც. ამ სიყვარულმა უფრო დააახლოვა ერთმანეთს ეს ორი ხალხი და ასე გაგრძელდება მომავალშიც მისივე ხსოვნის უკვდავსაყოფად.

...1962-63 წლებში თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში“, 1964-70 წლებში – თბილისის „დინამოში“. უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 208 მატჩი, აქედან 151 ითამაშა „დინამოში“, 51 – ქუთაისის „ტორპედოში“. გაიტანა 6 გოლი.

როგორც უაღრესად დახვეწილი ტექნიკის მცველი, 1967 წელს სსრ კავშირის ნაკრებშიც შეიყვანეს და 7 მატჩი ითამაშა. მომდევნო წელს კი ევროპის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობდა. გურამ ცხოვრებოვი 1964 წელს „დინამოში“ თანაგუნდელებთან ერთად პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი, 1967 წელს კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 1964 წელს მეორე ნომრად შევიდა 33 საუკეთესო საბჭოთა ფეხბურთელთა სიაში.

ნათელი პიროვნების და შესანიშნავი ფეხბურთელის გურამ ცხოვრებოვის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენსა და ფეხბურთის მრავალრიცხოვან გულშემატკივართა გულებში, ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,
ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი,
საფეხბურთო კლუბები „ტორპედო“ ქუთაისი, „დინამო“ თბილისი,
გაზეთ „ლელოს“ რედაქცია.

დაკრძალვა ცხინვალში, ხუთშაბათს 15 ოქტომბერს, ჯაფარიძის, 72.

# „თქვენი სვლაა, ერუდიტებო!“



ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გულბათ ტორაძემ, რომელიც ამავე დროს სპორტის შესანიშნავი მცოდნე და ქომაგი გახლავთ, მკითხველებს შესთავაზა ახალი ნაშრომი „თქვენი სვლაა, ერუდიტებო!“

წიგნს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გამოჩენილი გერმანელი დიდოსტატის ზიგბერტ ტარაშის სიტყვები: „ჭადრაკს, ისევე, როგორც მუსიკას, ისევე, როგორც სიყვარულს, შეუძლია ადამიანი ბედნიერი გახადოს“.

ავტორი მკითხველს აძლევს 300 კითხვას ჭადრაკის ისტორიიდან, თეორიასა და პრაქტიკიდან, ზოგჯერ ძალიან ძნელს, ზოგჯერ საკმაოდ იოლს, მაგრამ ყოველთვის საინტერესოს. ამ წიგნის ნაწყვეტები ადრე მოსკოვის „64 – „შახმატნოე ობოზრენიემ“ გამოაქვეყნა, ახლა კი მკითხველს საშუალება ეძლევა სრული სახით გაეცნოს მას.

მართლაცდა, რამდენი მატჩი ითამაშეს ერთმანეთთან ალექსანდრ ალიოხინმა და მაქს -ეივემ, რომელმა მოჭადრაკემ გაიარა სულ ორწლიანი გზა პირველთანრიგოსნიდან დიდოსტატამდე, რომელმა დიდოსტატმა მიიღო გრაფის წოდება, რომელი შვედი საერთაშორისო ოსტატია წარმოშობით ქართველი, ვინ ითამაშა 85 წლის ასაკში პარტია, რომელიც ისტორიაში შევიდა, რა „საიდუმლო იარაღი“ მოამზადა ელიზავეტა ბიკოვამ ნონა გაფრინდაშვილთან მატჩში შესახვედრად. ვინ იყო მსოფლიო ჩემპიონი, სულ ორი ... საათის განმავლობაში? და მრავალი სხვა.

აი, რა კითხვებს მიიღებს მკითხველი და თუ თვით ვერ უპასუხა, იქვე გაეცნობა სწორ „გადაწყვეტილებასაც“.

წიგნი ტექნიკურად კარგად არის გამოცემული, ახლავს არაერთი ფოტოსურათი და დიაგრამა. ერთი სიტყვით, იგი ჭადრაკის მოყვარულთათვის განკუთვნილი კარგი საჩუქარია. მკითხველებს გავახსენებთ, რომ სწორედ გულბათ ტორაძე გახლავთ ავტორი ჭადრაკის ისტორიაში უდიდესი, ამსტერდამის ე.წ. „ავრო-ტურნირისადმი“ მიძღვნილი მოზრდილი წიგნისა, რომელსაც საჭადრაკო (და არა მარტო საჭადრაკო) პრესამ მაღალი შეფასება მისცა.

ვთქვათ ისიც, რომ დღევანდელ პირობებში ჭადრაკისადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემა თითქმის გმირობის ტოლფასია, მაგრამ მისი ერთი „დიდი ნაკლი“ მაინც უნდა აღვნიშნოთ – იგი დაიბეჭდა სულ 500 ცალის რაოდენობით (თავი სად გამოვყოთ!). ისე რომ, როგორც ქართველი იტყვის, მეტი რაღა ჩარაა, მკითხველმა, უნდა იჩქაროს...

ბიჯი ბამრეკელი

**„ლელოს“ რედაქცია ულოცავს პროფესორ გულბათ ტორაძეს დაბადებიდან 70 წლისთავს.**

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი

გურამ ცხოვრებოვი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ამიერკავკასიის რკინიგზელთა ცენტრალური სპორტული კლუბი „ლოკომოტივი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ვეტერანი ფეხბურთელის

გურამ ცხოვრებოვის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფალავანი, სპორტის ოსტატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

პაატა ყუბუსიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ამიერკავკასიის რკინიგზელთა ცენტრალური სპორტული კლუბი „ლოკომოტივი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ვეტერანი ფეხბურთელის

გურამ ცხოვრებოვის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

პაატა ყუბუხიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია, თბილისის საცხენოსნო სკოლა და ვ. გაჩეჩილაძის სახელობის საცხენოსნო კლუბი „ვამბა“ თანაგრძნობას უცხადებენ ვეტერან მხედარს, სპორტის ოსტატ იუნონა კოჟინას ძმის გარდაცვალების გამო.




**13 ოქტომბერი, სამშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). რუსეთის ტელევიზია. ***ТВ центр.*** საცხენოსნო სპორტი (1.25). ***REN TV.*** სპორტკურიერი (23.40). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (14.30; 21.40). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილი (7.05; 15.10). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა (8.15), ამერიკული ფეხბურთი (9.10; 18.45). ჰოკეი რუსეთის ჩემპიონატი (12.35). მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში (15.25), საზაფხულო ექსტრემალური თამაშები-98 (21.15). კრივი (23.15; 0.40). ***CNN.*** სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** ტრიატლონი (10.30), ფეხბურთი (11.30; 14.00; 1.00). ავტოსპორტი (13.30; 0.30). მოტოსპორტი (15.30). ჩოგბურთი (16.00; 18.30). კრივი (22.00). რალი (2.00). ***ESPN.*** კეტბურთი (2.45). ბილიარდი (16.30). ნბა (19.30). ჰოკეი (21.30).

**14 ოქტომბერი, ოთხშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). რუსეთის ტელევიზია. ***OPT-1.*** ფეხბურთი: ისლანდია – რუსეთი (21.50). ***REN TV.*** „სპორტკურიერი“ (20.45; 23.30). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (14.30; 21.40). ***ESPN.*** კეტბურთი (2.00). ნბა-ს საუკეთესო თამაშები (3.30). სპორტული ცენტრი 8.00-14.00. ჭიდაობა (19.30). სპორტული ცენტრი (20.30; 1.00). ***НТВ плюс спорт.*** ანდრე აგასის ჩოგბურთის გაკვეთილი (7.05; 15.55). ნჰლ-ის ჩემპიონატი (8.05; 18.45). მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში (10.30). ზაფხულის ექსტრემალური თამაშები-98 (14.30; 22.35). საცხენოსნო სპორტი (16.10). გოლფი (17.45; 1.15). ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (21.45). ველოსპორტი (0.45). ***CNN.*** სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (10.30; 0.30). ავტოსპორტი (13.00; 0.00; 3.00). მოტოსპორტი (14.00). ჩოგბურთი(15.30; 16.00; 18.30). ფეხბურთი (0.30). ფორმულა-3000 (2.00).

**15 ოქტომბერი, ხუთშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.40; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05). რუსეთის ტელევიზია. ***OPT-1.*** ფეხბურთი: ისლანდია – რუსეთი (11.05). ***ТВ центр.*** საცხენოსნო სპორტი (11.10). ***REN TV.*** „სპორტკურიერი“ (20.45; 0.00). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (14.30; 21.40). ***НТВ плюс спорт.*** ბოდიბილდინგის გაკვეთილი (7.05; 14.45). ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (8.15), ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (8.15). სპორტული ცეკვები (9.15). ზაფხულის ექსტრემალური თამაშები-98 (12.40; 21.50). ველოსპორტი (18.30; 0.30). ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (19.00; 1.00). ჩოგბურთი (19.25). კალათბურთი. ევროლიგა (19.55). ***CNN.*** სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (10.30; 14.00; 22.-00; 23.00). რალი (13.30). ჩოგბურთი (16.00). კრივი (1.00). მოტოსპორტი (3.00). ***ESPN.*** კეტბურთი (2.00). ჩოგბურთი (2.30). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00-14.00; 20.30; 1.30). ცხენოსნობა (5.30): კვირის ღამის ფეხბურთი (22.15).

**16 ოქტომბერი, პარასკევი**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი“ (21.20), ***II არხი.*** „რაგბი“ (20.25). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***რუსეთის ტელევიზია.*** ***НТВ.*** საფეხბურთო კლუბი (17.30). ***REN TV.*** „სპორტკურიერი“ (20.45). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (14.30; 21.40). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილი (7.05; 15.10). ჩოგბურთი (7.45). კალათბურთი. ევროლიგა (8.20). ზაფხულის ექსტრემალური თამაშები-98 (10.00). ევროპული საფეხბურთო კვირა (12.40). კრივი (14.15). მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში (15.25). ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი (18.20). ნჰლ-ის კვირა (21.00). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (21.55). კრივი (0.00). ***CNN.*** სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** აფროსნობა (10.30). ფეხბურთი (11.00; 14.00). მსოფლიო ჩემპიონატი პენტატლონში (13.00). ჩოგბურთი (16.00). მოტორბოლა (22.15). რალი (23.30). კრივი (0.00). ექსტრემალური სპორტი (3.00). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (4.00; 8.00-14.00; 20.30; 1.00). საცხენოსნო სპორტი (7.30). ღამის ჰოკეი (22.00).

**17 ოქტომბერი, შაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი: „დინამო“ (თბილისი) – „იბერია“ (სამტრედია) – 16.00. ***II არხი.*** ავტოსპორტი. ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***ევრიკა.*** „სტუმარი“ (19.40). ***რუსეთის ტელევიზია.*** ***OPT-1.*** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი: „ტორპედო“ – უსკა (16.55). ***НТВ.*** საფეხბურთო კლუბი (0.55). ***ТВ центр.*** „ფეხბურთი დიალოგებში“ (15.35). ***ACT.*** სპორტული პროგრამა (14.30). ***НТВ плюс спорт.*** ანდრე აგასის საჩოგბურთო გაკვეთილი (9.40). ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატის მატჩი (9.55). ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი (13.00). ამერიკული ფეხბურთი (15.50). ზაფხულის ექსტრემალური თამაშები-98 (16.25). რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი: „როტორი“ – „სპარტაკი“ (19.10). „დიდი რინგი“ (21.10). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი“ (22.55). ***CNN.*** სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** ექსტრემალური სპორტი (10.30). მოტოსპორტი (12.30; 2.00). ავტოსპორტი (13,30; 14.30; 20.30; 21.00; 22.15; 23.30). ველოსპორტი (19.30; 0.30). კრივი (3.00). ***ESPN.*** ამერიკული ფეხბურთი (2.00; 14.00). როდეო (3.00). სპორტული ცენტრი (4.00; 12.00; 1.00). ნაციონალური ჰოკეის ღამე (6.00). ფეხბურთი (21.00).

**18 ოქტომბერი, კვირა**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „დრიბლინგი“ (22.00). ***II არხი.*** „სუპერ-მატჩი“ (20.35). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45). ***კავკასია.*** „ფეხბურთის ლეგენდები“ (15.20). „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***რუსეთის ტელევიზია.*** საფეხბურთო მიმოხილვა (16.05). ***REN TV.*** ფეხბურთი. „ევერტონი“ – „ლივერპული“ (15.30). „სპორტკურიერი“ (20.45). ***ACT.*** სპორტი (14.30; 20.35). ***НТВ плюс спорт.*** რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი: „როტორი“ – „სპარტაკი“ (9.40). ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი (12.50). საფეხბურთო კლუბი (15.45). საჭადრაკო მიმოხილვა (16.45). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (17.25) ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი (19.20). ავტოსპორტი (22.10). „დიდი რინგი“ (0.20). ***CNN.*** სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** კარტინგი (8.00; 14.30). ჩოგბურთი (10.00). ფორმულა-3000 (11.30). რალი (12.00). ავტოსპორტი (12.30; 22.00). მოტოსპორტი (13.30; 16.05; 2.30). ჩოგბურთი (16.30; 0.30). ***ESPN.*** ფრენბურთი (2.30). სპორტული ცენტრი (4,.00; 8.00; 21.00; 1.30). ამერიკული ფეხბურთი (10.30).


## „ტოტო-ლოტო“ – მოთამაშეთა სიხარული!

*11 ოქტომბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის ოცდამეოთხე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია: **1. 3. 8. 14. 18. 42.**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – საპრიზო ფონდი 1329.60.
4 ციფრი – 22.90 ლარი.
3 ციფრი – 2.10 ლარი.

**„ჯეკ-პოტი“ 57.567 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7“**-ის მომგებიანი ციფრებია: **8. 2. 6. 8. 6. 1. 2.**

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 18 ოქტომბერს, ჯეკ-პოტი **57.567** ლარი.

*ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!*

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

## სიახლე!

### ტოტო-ლოტოს ტელე თამაში

მათ, ვის ბილეთშიც ლატარია „ლოტო 6-42“-ის არც ერთი ვარიანტი არაა მომგებიანი, გეძლევათ შანსი მოხვდეთ სტუდიაში ტოტო-ლოტოს ტელე თამაშში მონაწილეობის მისაღებად, სადაც შეგიძლიათ მოიგოთ სუპერ პრიზი. აგრეთვე გელით სხვა სიურპრიზები და საჩუქრები.

მოწვეულთა ვინაობა გაირკვევა 25 ოქტომბერს, 26-ე ტირაჟის მიმდინარეობისას, ხოლო სია გამოქვეყნდება პრესისა და სარეალიზაციო პუნქტების საშუალებით.

პირველი ტელე თამაში გაიმართება 1 ნოემბერს 27-ე ტირაჟის დროს.



მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე